



**შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის
სასწავლო უნივერსიტეტი
სამართლის ფაკულტეტი
კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამა**

**თემა: საერთო სასამართლოების ჩარევის ფარგლები საარბიტრაჟო
წარმოების დროს**

**ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად**

სტუდენტი:

გვანცა აფციაური

ნაშრომის ხელმძღვანელი:

ასოცირებული პროფესორი:

ნიკოლოზ ფიცხელაური

თბილისი

სარჩევი

ანოტაცია.....2
 Annotation.....3
 შესავალი4
 თავი I. ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა8
 1.1 არბიტრაჟი და მისი ეფექტური ფუნქციონირების მთავარი წინაპირობები.....8
 1.1.1 არბიტრაჟისა და საერთო სასამართლოების ურთიერთდამოკიდებულების8
 ისტორიული ანალიზი.....8
 1.1.2 საბჭოთა არბიტრაჟები13
 1.1.3 კანონი „კერძო არბიტრაჟის შესახებ“ და არბიტრაჟების სრული დამოუკიდებლობის
 სამართლებრივი შედეგები.....18
 1.1.4 კანონი „არბიტრაჟის შესახებ“ და მოქმედი არბიტრაჟების არაეფექტურობის მთავარი
 მიზეზები.22
 1.1.5. საარბიტრაჟო სამართალწარმოების ავტონომიურობის პრინციპი და
 დელოკალიზაციის თეორია.25
 1.2 საარბიტრაჟო სამართალწარმოების კონტროლის მექანიზმები და საერთო
 სასამართლოების როლი საარბიტრაჟო განხილვისას.28
 1.2.1 საარბიტრაჟო განხილვის დანყება.....28
 1.2.2. არბიტრების არჩევა31
 1.2.3 არბიტრების აცილება34
 1.2.4 სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები38
 1.2.5 მტკიცებულებების მოპოვება.....41
 1.2.6 საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულება.....43
 1.2.7 საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გასაჩივრება-გაუქმება51
 1.2.8 საჯარო წესრიგის ბუნდოვანი ცნება და სასამართლოს პრაქტიკა.54

თავი II. მეთოდოლოგია, კვლევის აღწერა და შედეგები.....	57
დასკვნა	60
გამოყენებული ლიტერატურა:.....	62

ანოტაცია

ჩემი თემა მოიცავს საარბიტრაჟო წარმოების დროს საერთო სასამართლოების ჩარევის ფარგლებს. აღნიშნული თემის არჩევა მისმა აქტუალობამ და ასევე პრობლემატიკურობამ განაპირობა. როგორც ვიცით, დავის ალტერნატიული გზით მოგვარების მიზანია სასამართლო სისტემის დატვირთვის შემცირება და პროცესების გაჭიანურების თავიდან აცილება, მის დადებით მხარეებად ასევე განიხილავენ ნაკლებ ხარჯებსა და ბიუროკრატიულ დამოუკიდებლობას. დავების გადაწყვეტის ერთ-ერთ ძირითად ალტერნატიულ გზად კი შეგვიძლია მივიჩნიოთ არბიტრაჟი. თუმცა ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით არბიტრაჟის გადაწყვეტილების აღსასრულებლად სავალდებულოა სასამართლოს მიერ მისი ცნობა. წინამდებარე ნაშრომი სწორედ მისი პრობლემატიკურობის არსის დადგენას ემსახურება.

ჩემი ნაშრომის ძირითად მიზანს წარმოადგენს, რომ უფრო ნათლად და მკაფიოდ გამოიკვეთოს არბიტრაჟისა და სასამართლოს ურთიერთკავშირის დადებითი და უარყოფითი მხარეები, რამდენად ეფექტურია მათი ურთიერთდამოკიდებულება და ამართლებს თუ არა მიზნებს.

პირველ თავში გავაკეთე მიმოხილვა დღეისათვის არსებული ქართული და უცხოური ლიტერატურის- რომელიც ეხება დავების ალტერნატიული გზით მოგვარების საშუალებებს და სხვადასხვა ქვეყნების კანონმდებლობა არბიტრაჟის შესახებ.

მეორე თავში განხილული მაქვს ჩემი კვლევის შედეგები, რომელიც განვახორციელე დღეისათვის საქართველოში მუდმივმოქმედი არბიტრაჟებისა და მოქალაქეების ანკეტური გამოკითხვის საფუძველზე, რომლის მიზანი იყო დამედგინა არბიტრაჟის გამოყენება და ეფექტურობა.

დასკვნაში ჩამოვყალიბე ჩემი აზრი განხორციელებული კვლევების შედეგებისა და დამუშავებული თეორიული მასალის საფუძველზე, და მიმაჩნია, რომ არბიტრაჟსა და სასამართლოს შორის ეფექტური თანამშრომლობა გაზრდის დავების ალტერნატიული

გზით მოგვარების მსურველთა რიცხვს და გაამართლებს მის ძირითად მიზნებს. ამისათვის აუცილებელია რომ, ორივე მხარე ზრუნავდეს ფუნქციების სწორ გადანაწილებაზე და ორიენტირებული იყვნენ მხარეთა ინტერესების დაცვაზე, დავების სწრაფად და ეფექტურად გადანყვეტაზე.

Annotation

My topic is about the common courts intervention in the process of arbitration. I choose this theme because of its actuality and complication. As we know, the purpose of solution disputes by alternative way is to decrease trial amounts at court and to avoid proceed of trials, we can also count less expenses and bureaucratic independence as its positive sides. We can find Arbitration as one of the basic alternative way to solve disputes. Though, by the legislature of some countries, for the execution of the arbitration decision needs it to be proved by the court. This topic is served to be clear problems in this process.

The main goal of my topic is to be clearly defined all positive and negative sides in the relationship of the court and arbitration. How effective there interdependence is and achieves or not its purposes.

In the first chapter I reviewed some Georgian and foreign literature which exist nowadays , and which is about the alternative opportunities of solving disputes and some legislature about arbitration of different countries.

In the second chapter I reviewed results of my research, which was done by sending quiz to the permanent arbitative organizations in Georgia and also to the citizens of Georgia, and its goal was to determine usage and efficiency of the arbitration in Georgia.

In the conclusion I made encompassing definition by the results of the research and processed theoretical material and I think that effective cooperation between the courts and arbitration will increase the amount of people how want to solve disputes by alternative ways, and the main purpose of arbitration will be done. It is necessary that both sides take care to be the correctly distributed functions between them and both of them to be oriented about the protection of the interests of the sides, and to solve disputes fast and effectively.

შესავალი

თემის აქტუალობა: დღესდღეობით სოციალური ურთიერთობები დავებისა და კონფლიქტების გარეშე წარმოუდგენელია, რაც განპირობებულია ადამიანთა შეხედულებების სხვადასხვაობიდან გამომდინარე. შეხედულებათა, წარმოდგენათა და მოსაზრებათა სხვადასხვაობა კი ბადებს კონფლიქტს¹. როგორც არ უნდა მოვანესრიგოთ საზოგადოებრივი ურთიერთობები და სამართლებრივი ინსტიტუტები მაინც ვერ შევძლებთ კომფლიქტების თავიდან აცილებას, რადგან კონფლიქტი ადამიანთა საზოგადოების განვითარების თანმხლებ მოვლენად განიხილება. ვინაიდან შეუძლებელია კონფლიქტების თავიდან არიდება, ამისთვის აუცილებელია დავარეგულიროთ და შევისწავლოთ უკეთესად მათი მართვა და მივიღოთ მაქსიმალურად მეტი სარგებელი.

უდავოა ის ფაქტი, რომ დავების გადანწყვეტის ყველაზე უებარი გზა, მოლაპარაკება და შეთანხმებაა, მაგრამ როცა ვერ ხერხდება ამ გზით სამეურნეო დავების დარეგულირება რჩება დავის გადანწყვეტის სამართლებრივი გზა², ამიტომაც საუკუნეებია ადამიანები დავებისა და კონფლიქტები მოსაგვარებლად მიმართავენ სასამართლოს, რის გამოც სასამართლო სისტემა იმდენად არის გადატვირთული, რომ ხშირად თვეებია საჭირო ერთი კონკრეტული დავის მოსაგვარებლად. ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად აუცილებელია ისეთი ალტერნატიული ინსტიტუტების მოძებნა, რომლებიც დაეხმარებიან მხარეებს დავის უფრო დროულად განხილვასა და გადანწყვეტაში და ხელს შეუწყობენ სასამართლო სისტემის განტვირთვას, რათა მან მიმართოს თავისი ძალები მაქსიმალურად მრავალრიცხოვანი და მზარდი საქმეებისკენ.

თანამედროვე მსოფლიოში კონფლიქტის ეფექტური მენეჯმენტი ნებისმიერი საქმიანობის სწორად წარმართვის აუცილებელი ატრიბუტი გახდა. დავა სასამართლოში,

¹ გიორგი ცერცვაძე, საერთაშორისო არბიტრაჟი, თბილისი, 2009, გვ.24

² დიმიტრი აბესაძე და სხვები, კერძო არბიტრაჟი სამართლებრივი საფუძვლები და პრაქტიკა, რედაქტორი ჯემალ ინაიშვილი, თბილისი, 2005, გვ. 3

განსაკუთრებით თუ ეს დავა საერთაშორისო ხასიათს ატარებს, დიდი რაოდენობით სხვადასხვა სახის რესურსს მოითხოვს. დროის, ისევე როგორც ფინანსური რესურსის, სწორად განკარგვა წარმატებული ბიზნესის ერთ-ერთი მთავარი პირობაა.³

დასახული მიზნები: ჩემ მიერ არჩეული თემა მიზნად ისახავს, საზოგადოებრივი ურთიერთობებიდან წარმოშობილი კონფლიქტებისა და დავების მოგვარებისთვის ერთ-ერთი ეფექტური და პოპულარული მეთოდის, კერძოდ არბიტრაჟის განხილვასა და მის დადებითად წარმოჩენას. მისი გაძლიერება, როგორც ეკონომიკურ ისე მენარმეობის სფეროში წარმოშობილი დავების გადაწყვეტის ერთ-ერთი უპირველესი და უმთავრესი წინაპირობაა. ის ფაქტი რომ არბიტრაჟისადმი დაინტერესება უფრო მეტად იზრდება, არ იძლევა იმის საბაბს რომ ეს მივიჩნიოთ სასამართლოში დავების შეფერხების შედეგად გამოწვეულ დროებით ტენდენციად. არბიტრაჟის განვითარება აუცილებელია, როგორც სახელმწიფოსთვის, ისევე კერძო სექტორებისთვის. საქართველოში უცხოელი ივენსტორებისა და ადგილობრივი მენარმეების მოსაზიდად და ზოგადად, ბიზნესის განვითარებისათვის ერთ-ერთ აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ქვეყანაში მოწესრიგებული, დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და საერთაშორისო სტანდარტებისა და მოთხოვნების შესაბამისი საარბიტრაჟო ინსტიტუტის არსებობა⁴. არბიტრაჟის განვითარებისათვის ერთ-ერთ მთავარ წინაპირობას წარმოადგენს თანამედროვე და დაბალანსებული საარბიტრაჟო კანონმდებლობის არსებობა. სხვა ღირებულებებთან ერთად, მხარეებისთვის არბიტრაჟი წარმოადგენს დავის უფრო დროულად განხილვისა და საბოლოო გადაწყვეტის შესაძლებლობას, ისევე როგორც თავად არბიტრების არჩევის შესაძლებლობას, ამიტომაც თანამედროვე სახელმწიფოებრივი სასამართლოს სათავეები კერძო არბიტრაჟშია საძებარი⁵.

ამოცანები: აღნიშნული ნაშრომის ძირითად ამოცანას წარმოადგენს დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების განხილვა და მათი პრობლემური საკითხების გადაჭრის მეთოდების ანალიზი. საქართველოსა და უცხოური პრაქტიკის ანალიზი; საერთო სასამართლოებისა და არბიტრაჟების ურთიერთდამოკიდებულებაში არსებული პრობლემების გამოვლენა, საქართველოს კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების

³ მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, თბილისი, 2013, გვ.16

⁴ ანგარიში საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის დაფუძნების შესახებ, 2014, გვ. 1

⁵ ნიკოლოზ ფიცხელაური, „დისერტაცია თემაზე: ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობებთან, თბილისი, 2015, გვ. 3

გაალიზება და სხვა წვრილმანი პრობლემები, რომელთა აღმოფხვრაც ხელს შეუწყობს მხარეთა შორის წარმოშობილი დავების უფრო მარტივად და სწრაფად მოგვარებას.

კვლების მეთოდები: დიდი ხნის გამოცდილება და კვლევა ამტკიცებს, რომ სამეურნეო დავების განხილვისა და გადაწყვეტის სფეროში საერთო სასამართლოებზე მეტი უპირატესობა გააჩნია არბიტრაჟს. არისტოტელე თავის რიტორიკაში წერდა, რომ არბიტრაჟი დავის გადაწყვეტის საუკეთესო საშუალებაა, ვინაიდან არბიტრმა გადაწყვეტილება უნდა მიიღოს სამართლიანობიდან გამომდინარე, ხოლო სასამართლომ-კანონიდან გამომდინარე.⁶

იურიდიულ ლიტერატურაში ხშირად აღნიშნავენ, რომ საარბიტრაჟო განხილვა უკეთესია სასამართლო განხილვაზე, მხარეთა მორიგება უკეთესია, ვიდრე არბიტრაჟისადმი მიმართვა, ხოლო დავის შეწყვეტა უკეთესია, ვიდრე მორიგება⁷.

დღეისთვის საყოველთაოდ არის მიღებული, რომ ბიზნესი სასამართლოსთან შედარებით უპირატესობას ანიჭებს დავების ალტერნატიული გზით გადაწყვეტას. ბიზნესმენტა წარმოდგენით სასამართლო განხილვა არის ერთ-ერთი ყველაზე ბიუროკრატიული პროცედურა, რომელსაც იშვიათად მოყვება მხარეებისთვის სასურველი შედეგი და ამასთან ერთად საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა. ბიზნეს დავების სასამართლო გზით განხილვას, მით უფრო, თუ დავის საგნის ღირებულება მაღალია, ბუნებრივია, საკმაოდ დიდ მატერიალურ დანახარჯამდე მიყვავართ. მნიშვნელოვანია დროის ფაქტორიც, სასამართლო პროცესები შესაძლოა წლობით გაიწელოს, სასურველი შედეგი კი მაინც არ დადგეს.

ცხადია, სასამართლოსა და არბიტრაჟის შედარებისას სხვადასხვა ლიტერატურაში ვანცდებით უამრავ პრობლემას. ნაწილი მიიჩნევს, რომ არბიტრაჟის უპირატესობა განსაკუთრებით ნათლად ჩანს, რადგან

- მხარეები თვითონ ირჩევენ არბიტრაჟს, არბიტრებს და არბიტრაჟის რეგლამენტს;
- საარბიტრაჟო პროცესში მხარეები ზედმინწევით თანასწორუფლებიანები არიან, განხილვის ყველა ეტაპზე;
- არბიტრაჟის დახურული სხდომები, უმოტივაციო გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობა ხელს უწყობს სრულ კონფიდენციალურობას;

⁶ გიორგი ცერცვაძე., საერთაშორისო არბიტრაჟი (შედარებითი ანალიზი), სადისერტაციო ნაშრომი; თბილისი, თბილისის უნივერსიტეტი; 2008, გვ.17

⁷ ნიკოლოზ ფიცხელაური., ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობებთან, თბილისი, 2015

- არბიტრაჟის საქმის წარმოება სრულიად გამორიცხავს კორუფციას და არბიტრაჟზე რაიმე სახის ზეწოლას და ა.შ.⁸

თუმცა სასამართლოს მიმართ ასეთი ნეგატიური შეფასებები არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს არბიტრაჟი სრულყოფილია და პასუხობს ყველა იმ მოთხოვნას, რომელსაც მომხმარებლები მათ მიერ არჩეულ არბიტრაჟსა და არბიტრებს უყენებენ.⁹ საკმაოდ დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული, მაგალითად, ისეთი დავების საარბიტრაჟო განხილვა, რომლებშიც ორზე მეტი მხარე მონაწილეობს. ანდა, ის, რომ საარბიტრაჟო ტრიბუნალს, სასამართლოსგან განსხვავებით, უზრუნველყოფის ღონისძიებების გატარების ბევრად უფრო ნაკლებად ეფექტიანი საშუალებები გააჩნია.¹⁰

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ საქართველოში არბიტრაჟებთან დაკავშირებული პროცესი მანკიერად ვითარდება, ყველა მსხვილ ორგანიზაციასთან არსებობს პატარა-პატარა არბიტრაჟები, რომლებსაც მაკონტროლებელი ორგანო ფაქტობრივად არ გააჩნიათ. პრობლემურია აგრეთვე, არბიტრაჟებისა და სასამართლოების ურთიერთობა და კანონმდებლობაში მრავლად არსებული ხარვეზიც, რაც ერთიანობაში შეუძლებელს ხდის არბიტრაჟის, როგორც ქვეყნის ეკონომიკისა და ინვესტიციების მოზიდვისთვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტის სრულფასოვან განვითარებას.¹¹

გემოაღნიშნული პრობლემების აღმოსაფხვრელად აუცილებელია უფრო მეტი ყურადღება დაეთმოს მოცემულ საკითხებს, უნდა შემუშავდეს გარკვეული ხედვა და პრონციპები. უნდა შევიდეს კანონში გარკვეული ცვლილებები რაც ხელს შეუწყობს უფრო ნათლად და მკაფიოდ გასაგები გახდეს არბიტრაჟისა და საერთო სასამართლოების ურთიერთდამოკიდებულება.

⁸ დიმიტრი აბესაძე და სხვები, კერძო არბიტრაჟი სამართლებრივი საფუძვლები და პრაქტიკა, რედაქტორი ჯემალ ინაიშვილი, თბილისი, 2005, გვ. 3

⁹ გიორგი ცერცვაძე., საერთაშორისო არბიტრაჟი (მედარებითი ანალიზი), სადისერტაციო ნაშრომი; თბილისი, თბილისის უნივერსიტეტი; 2008, გვ. 17

¹⁰ გიორგი წკრიალაშვილი, 1999, უცხოეთის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების საერთაშორისო-სამართლებრივი მექანიზმები, სამართალი, გვ.52

¹¹ ნიკოლოზ ფიცხელაური., ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობებთან, თბილისი, 2015, გვ.2

თავი I. ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა

1.1 არბიტრაჟი და მისი ეფექტური ფუნქციონირების მთავარი წინაპირობები.

1.1.1 არბიტრაჟისა და საერთო სასამართლოების ურთიერთდამოკიდებულების ისტორიული ანალიზი

სახელმწიფოში დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სამართალწარმოების ჩამოყალიბება და არსებობა წარმოადგენს გარდავალ ეტაპზე მყოფ ქვეყნებში სამართლებრივი რეფორმის განხორციელებისა და წარმატების უმთავრეს წინაპირობას. ზემოაღნიშნულ წინაპირობებსა და ფუნქციებს შედეგად მოყვება დაძაბულობა და კონფლიქტური სიტუაციები, რომელთა დასარეგულირებლად აუცილებელია საჭირო გზების მოძიება. სამართალწარმოება არ უნდა იყოს დამოკიდებული სხვა სახელმწიფო სტრუქტურებზე და ამავე დროს უნდა დარჩეს სახელმწიფო ხელისუფლების მონოპოლიის ნაწილად. იგი უნდა ემორჩილებოდეს კანონს და არა პოლიტიკას¹².

¹² როლფ კნიჰერი; საარბიტრაჟო სასამართლოსა და სახელმწიფო სამართალწარმოების შედარება, ქართული სამართლის მიმოხილვა, 1998; გვ 77;

რადგან კონფლიქტების თავიდან აცილება შეუძლებელია, აუცილებელია მისგან სარგებლის მიღება და მისი მართვის სწავლა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, აუცილებელია კონფლიქტების გამოყენება. გამოყენებისთვის კი სათანადო ცოდნა და გამოცდილებაა საჭირო.

ჰუმანისტური მეცნიერებები კონფლიქტის დეფინიციას ნაკლებობას ნამდვილად არ განიცდიან. კონფლიქტი, როგორც სოციალური მოვლენა, გარკვეული ორბუნებოვნებით ხასიათდება. ერთის მხრივ ის ხელს უწყობს წინსვლას, ადამიანებს აძლევს განვითარების შესაძლებლობას, მეორე მხრივ მას შეუძლია დაანგრეოს ადამიანური ურთიერთობები. ეს უკანასკნელი, შედეგის სახით კონფლიქტს საკმაოდ ხშირად მოჰყვება ხოლმე.

იერინგმა ჯერ კიდევ ასი წლის წინ შენიშნა, რომ „სამართლის ცნება თავის თავში მოიაზრებს ორ სრულიად განსხვავებულ კატეგორიას, ბრძოლას და მშვიდობას. პირველი წარმოადგენს მეორის მიღწევის შესაძლებლობას და ისინი ერთმანეთისგან განუყოფელნი არიან. საკუთარი დარღვეული უფლების დაცვა წარმოადგენს პიროვნების თავდაცვის აუცილებელ ელემენტს, და მაშასადამე გულისხმობს პიროვნების ვალდებულებას ჯერ საკუთარ თავთან დაიცვას თავისი უფლება და შემდგომ ეს ვალდებულება მას ეკისრება მთელი საზოგადოების წინაშე.“¹³

სამომრიგებლო საქმის გარჩევამ გრძელი გზა გაიარა, ვიდრე გადაიქცეოდა სამეურნეო დავების გადაჭრის ყველაზე სწრაფ, მოხერხებულ და საიმედო საშუალებად. დავების გადაწყვეტის ეს გზა სახელმწიფო მართლმსაჯულებაზე უფრო ადრე წარმოიშვა, თუმცა სანყის ეტაპზე სამომრიგებლო სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულება სახელმწიფოს მხრიდან იძულებით არ ხდებოდა. საინტერესოა, რომ პირველად რომის იმპერატორმა იუსტინიანემ მიანიჭა სამომრიგებლო სასამართლოს გადაწყვეტილებებს სახელმწიფო სასამართლოს გადაწყვეტილებების ტოლფასი მნიშვნელობა და ძალა. ითვლება, რომ სწორედ ამ პერიოდიდან დაედო დასაბამი სამომრიგებლო საქმის გარჩევას თანამედროვე გაგებით ანუ არბიტრაჟს¹⁴.

მსოფლიო ვაჭრობის ინტერნაციონალიზმი და მზარდი სირთულე მოითხოვს ეფექტური კონფლიქტის მენეჯმენტს საერთაშორისო ბიზნესში. იმ კომპანიებისათვის, რომლებიც განსხვავებულ სამართლებრივ სისტემაში არსებობენ, და წყვეტენ

¹³ გიორგი ცერცვაძე, მედიაცია, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა (ზოგადი მიმოხილვა, თბილისი, მერიდიანი 2010, გვ. 22.

¹⁴ დიმიტრი აბესაძე და სხვები, კერძო არბიტრაჟი სამართლებრივი საფუძვლები და პრაქტიკა, რედაქტორი ჯემალ ინაიშვილი, თბილისი, 2005, გვ. 5

კომერციულ დავებს არბიტრაჟი ფუნდამენტურ სერვისად იქცა. ეს ინსტიტუტი ასრულებს თითქმის იმავე ფუნქციას, რასაც ადგილობრივ დონეზე სასამართლო. საარბიტრაჟო სამართალწარმოების მონაწილეებისთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ხარჯებისა და ვადების სიმცირე, კონფიდენციალურობა და ა.შ.¹⁵

უძველესი დროიდან ადამიანები კომფლიქტების მოსაგვარებლად მიმართავდნენ არბიტრაჟებსა და საერთო სასამართლოებს. არსებობს მოსაზრება, რომ არბიტრაჟი სასამართლოს პირველსახეა. არბიტრაჟის ისტორია ლიტერატურაში ნაკლებად გამოკვლეულად ითვლება, თუმცა აღიარებულია, რომ მისი წარმოშობა წინ უსწრებდა სასამართლოს წარმოშობას.¹⁶ არბიტრაჟს ხანგრძლივი ისტორია აქვს. უძველესი დროიდან იგი იყო სადავო საკითხების გადაწყვეტის ეფექტური მექანიზმი საბერძნეთში, ეგვიპტესა და რომში. მიზეზი იმისა, თუ რატომ მიმართავდნენ არბიტრაჟს იყო საერთო სასამართლოების გადატვირთულობა, ვადაგადაცილება და სასამართლოებში სამოქალაქო პროცესის ძვირადღირებული სახე. მე-17 საუკუნიდან არბიტრაჟი წარმოადგენდა შუღლის საგანს სასამართლოებისა და კანონმდებლობისთვის, რომლებიც ამტკიცებდნენ სამართლებრივ სუვერენულობას სახელმწიფოსათვის. უარყოფი დამოკიდებულების საინტერესო შემთხვევა დაფიქსირდა ინგლისში, სკოტი ეივერის წინააღმდეგ საქმეში, სადაც ლორდ განმარტავდა, რომ ინგლისელი მოსამართლეები მტრულად იყვნენ განწყობილნი არბიტრაჟის მიმართ, რადგან მოსამართლეები ანაზღაურებას იღებდნენ სასამართლოზე წარმოდგენილი მხარეებისგან მიღებული გადასახადიდა, ხოლო არბიტრაჟების საქმიანობის შედეგად გაიზარდა კონკურენცია. არბიტრაჟებიცა და სასამართლოებიც ცდილობდნენ რაც შეიძლება მეტი კლიენტი მიეზიდათ შემოსავლის გაზრდის მიზნით.

აღნიშნულ დაპირისპირებაში არბიტრაჟებმა მარცხი განიცადეს, რადგან კერძო პროცესების წარმართვის ეფექტურობა დამოკიდებული იყო საერთო სასამართლოს მხარდაჭერაზე. თუმცა თანდათან შეიქმნა პრო-საარბიტრაჟო კონვენციები, რომლებიც მიზნად ისახავდნენ საერთაშორისო ვაჭრობისა და ინვესტიციების განვითარებას სახელმწიფოებსა და/ან სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეებს შორის¹⁷.

¹⁵ დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ცენტრი, მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში, თბილისი 2013, გვ.158

¹⁶ გიორგი ცერცვაძე., საერთაშორისო არბიტრაჟი (შედარებითი ანალიზი), სადისერტაციო ნაშრომი; თბილისი, თბილისის უნივერსიტეტი; 2008, გვ. 18

¹⁷ ნიკოლოზ ფიცხელაური., ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობებთან, თბილისი, 2015, გვ. 157

ბოლო პერიოდში არბიტრაჟის მნიშვნელობის ზრდა და მისდამი უფრო მეტი ინტერესი განაპირობა იმ ფაქტორმა, რომ სასამართლოს მიმართ გაიზარდა უნდობლობა, ეს შეიძლება დაკავშირებული იყოს ენობრივ ბარიერთან, უცხო სამართლებრივ ტრადიციებთან და სასამართლოს მიუკერძოებლობასთან. თანდათანობით მთელ მსოფლიოში იქნა აღიარებული ამ და სხვა შემთხვევაში კერძო პირების ნების საფუძველზე საარბიტრაჟო სასამართლოს მონვევის შესაძლებლობა ¹⁸.

საიდუმლო არა, რომ მოსამართლეები საქართველოშიც იმდენად გადატვირტულები არიან სარჩელებით, რომ კანონით დადგენილი საპროცესო ვადების დაცვა შეუძლებელი ხდება. შესაბამისად, მისასალმებელია არბიტრაჟის შესახებ კანონპროექტის განხილვის დაწყება პარლამენტში, რადგან ქვეყანას ამკარად ესაჭიროება მსოფლიოს სტანდარტების შესაბამისი ნორმები კერძო დავების ალტერნატიული წესით განხილვისათვის.

არბიტრაჟების მნიშვნელობა თვალშისაცემია არა მარტო ევროპაში, არამედ აშშ-ში, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასა და განვითარებული ეკონომიკის მქონე სხვა რეგიონებსა და სახელმწიფოებშიც. მაგალითად „ამერიკის საარბიტრაჟო ასოციაციამ, რომელსაც მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო სასამართლო გააჩნია, 2000 წელს 200 ატასზე მეტი პროცესი ჩაატარა.“

ნიშანდობრივია, რომ საარბიტრაჟო სამართალწარმოების მნიშვნელობა კიდევ უფრო დიდია საერთაშორისო სავაჭრიო გარიგებებში, ანუ როდესაც ხელშეკრულების მხარეები სხვადასხვა სახელმწიფოებს წარმოადგენენ. ივარაუდება, რომ საერთაშორისო ასპარეზზე დადებული ხელშეკრულებების 90% შეიცავს საარბიტრაჟო დათქმას. ¹⁹

ყველა ქვეყანაში მოქმედებენ ეროვნული სასამართლოები, რომლებიც ამ ქვეყნის სასამართლო ხელისუფლებას ახორციელებენ. ისინი მონოდებულნი არიან დაიცვან როგორც საკუთარი ქვეყნის ფიზიკურ თუ იურიდიულ პირთა დარღვეული ან სადავო უფლებები და კანონით გათვალისწინებული ინტერესები აგრეთვე, უცხო ქვეყნისაც. თუმცა არ არის გამორიცხული, რომ საერთაშორისო კერძო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილემ ეჭვის თვალთ შეხედოს უცხო ქვეყნის სასამართლოს მიუკერძოებლობას, იფიქროს და ივარაუდოს, რომ სახელმწიფო სასამართლო თავისი

¹⁸ როლფ კნიპერი; საარბიტრაჟო სასამართლოსა და სახელმწიფო სამართალწარმოების შედარება, ქართული სამართლის მიმოხილვა, 1998; გვ 79

¹⁹ ლევან გოთუა, კერძო დავების ალტერნატიული წესით განხილვის თავისებურებანი ქართულ და გერმანული სამართლის მიხედვით, მართლმსაჯულება, 2007, გვ.135

ქვეყნის ფიზიკური თუ იურიდიული პირის ინტერესებს დაიცავს²⁰. ამ და სხვა მოსაზრებებიდან გამომდინარე მიზანშეწონილი იყო შექმნათ უფლების დაცვის ალტერნატიული მექანიზმი, როგორც არის არბიტრაჟი.

საარბიტრაჟო სასამართლოები შეიძლება შეიქმნას ad hoc საფუძველზე (ანუ „სპეციალურად“ საჭიროების მიხედვით, ამა თუ იმ კონკრეტული დავის განსახილველად) ან ინსტიტუციური სტრუქტურის სახით. ad hoc არბიტრაცია რთული მექანიზმია და საჭიროებს აბსოლუტურად მაღალკვალიფიციურ ექსპერტთა საბჭოს არსებობას მხარეთა ურთიერთობის ნებისმიერ ეტაპზე. ნებისმიერ შემთხვევაში, რეკომენდირებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისიის წესების განუხრელი დაცვა. ინსტიტუციური (მუდმივმოქმედი) არბიტრაჟი არსებობს ეროვნული და საერთაშორისო არბიტრაჟის სახით. ჭეშმარიტად საერთაშორისო ორგანიზაციებს წარმოადგენენ პარიზის საერთაშორისო სავაჭრო პალატა და ლონდონის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლო.²¹

უნდა აღინიშნოს, რომ არბიტრაჟი მხარეებს დავის განხილვის მოქნილ და გამარტივებულ მექანიზმს სთავაზობს. მათ ეძლევა საშუალება საარბიტრაჟო პროცესში თვითონ გააკეთონ არჩევანი არბიტრაჟზე და არბიტრებზე და იყვნენ თანასწორუფლებიანები განხილვის ყველა ეტაპზე. დავების სწრაფად და მართებულად გადაწყვეტა ხელს უწყობს საერთაშორისო ვაჭრობის თანამშრომლობის განვითარებას. არბიტრაჟში უპირატესობა ენიჭება დავის პროცესში მხარეების ინტერესების გათვალისწინებასა და მის შესაბამისად გადაწყვეტას. რადგან არბიტრაჟი არ არის თვითმმართველი ორგანო, ამიტომ იძულებულია დაეყრდნოს სასამართლოების უფლებამოსილებას საარბიტრაჟო საქმისწარმოების დროს და მის შემდეგ, რადგან მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება უზრუნველყოს.

მიუხედავად ამდენი დადებითი შეფასებისა საარბიტრაჟო სასამართლოების მიმართ მაინც გამოითქმება აგრეთვე გარკვეული ეჭვებიც. კერძოდ, მათ შორის არის გადაწყვეტილების მიღების პროცესზე სახელმწიფოებრივი ზედამხედველობის არარსებობის საკითხი. აგრეთვე იმის შიში, რომ უფრო ძლიერმა მხარემ შეიძლება თავს მოახვიოს თავისი შეხედულება შედარებით სუსტ მხარეს. ტრადიციული

²⁰ თენგიზ ლილუაშვილი, საერთაშორისო კერძო არბიტრაჟი, თბილისი, ჯისიაი, 2001, გვ. 166.

²¹ როლფ კნიპერი; საარბიტრაჟო სასამართლოსა და სახელმწიფო სამართალწარმოების შედარება, ქართული სამართლის მიმოხილვა, 1998; გვ 77

დემოკრატიის პირობებში, სახელმწიფო სასამართლოები ითვლებიან სოციალურად ნაკლებად დაცული მხარის ინტერესების დაცვის გარანტად.²²

საარბიტრაჟო საქმის წარმოება, როგორც კერძო პროცესი, მთავრდება საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით მიღებით, რომელიც შეიძლება აღსრულდეს მხოლოდ ეროვნული სასამართლოს მიერ, აღსრულების ქვეყანაში. აქედან გამომდინარე, არსებობს ურღვევი კარშირი არბიტრაჟსა და საერთო სასამართლოებს შორის. როგორც უკვე ავლნიშნეთ არბიტრაჟისა და საერთო სასამართლოების ურთიერთდამოკიდებულება თავიდანვე დაპირისპირებით დაიწყო, რომელსაც ქალაქ რომში მივყავართ, სადაც საერთო სასამართლოები არ აღიარებდნენ საარბიტრაჟო შეთანხმებებს. ხოლო რაც შეეხება ამ დაპირისპირებას დასრულდა ინგლისში, 1996 წლის საარბიტრაჟო აქტის ძალაში შესვლის შემდეგ, რამაც ეფექტური და მოქმედი გახადა საარბიტრაჟო შეთანხმებები და უფლებამოსილება მიანიჭა სასამართლოებს შეეჩერებინათ სასამართლო საქმისწარმოება მოქმედი საარბიტრაჟო შეთანხმების საფუძველზე.

დღესდღეობით ურთიერთდამოკიდებულება უფრო გამოსწორებულია, რადგან სასამართლოების ზედამხედველობის ფარგლებში მნიშვნელოვანი დამოუკიდებლობით სარგებლობს არბიტრაჟი. სასამართლოები აღიარებენ მხარეთა საარბიტრაჟო შეთანხმებას, მხარეთა მიერ შერჩეულ სამართლებრივ ბაზადა და უფლებამოსი არბიტრებს მათი ავის გადასაჭრელად და ასრულებენ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებს. თუმცა საერთაშორისო კომერციულ არბიტრაჟებთან დაკავშირებით დავა მიმდინარეობს იმაზე, თუ რა მასშტაბის სამართლებრივი ჩარევები შეიძლება იყოს დაშვებული სასამართლოების მხრიდან. ერთი მხრივ არბიტრაჟი უნდა გათავისუფლდეს სასამართლოებისგან, რათა იყოს ეფექტური და დამოუკიდებელი, ხოლო მეორე მხრივ, არბიტრაჟს სჭირდება სასამართლოების მხრიდან მხარდაჭერა და დახმარება²³.

1.1.2 საბჭოთა არბიტრაჟები

²² როლფ კნიპერი; საარბიტრაჟო სასამართლოსა და სახელმწიფო სამართალწარმოების შედარება, ქართული სამართლის მიმოხილვა, 1998; გვ 79

²³ ნიკოლოზ ფიცხელაური., ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობებთან, თბილისი, 2015, გვ. 164

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების საყოველთაო გლობალიზაციის პროცესი თავისთავად წარმოშობს შესაბამისის სამართლებრივი რეგულირების მექანიზმების არსებობის აუცილებლობას. ამასთან მსოფლიო ბაზრის ინტენსიური და ჰარმონიული განვითარებისთვის აუცილებელია, რომ მისი ფუნქციონირების ხელშემწყობი იურიდიული ბერკეტები ერთნაირად მისაღები იყოს სხვადასხვა სამართლებრივი სისტემებისა და ტრადიციების მქონე სახელმწიფოთა წარმომადგენელთათვის²⁴.

არბიტრაჟის მარეგულირებელი კანონმდებლობა ეკონომიკური პოლიტიკის საუცხოო ინდიკატორია. თუ სახელმწიფო ცდილობს რაც შეიძლება ღია გახადოს საკუთარი ბაზარი უცხოური ინვესტიციებისთვის, მაშინ ის აუცილებლად შეეცდება შექმნას მაქსიმალურად მარტივი და ეფექტური საარბიტრაჟო კანონმდებლობა.

პოსტსაბჭოთა სივრცეში დასავლურ იურიდიულ ლიტერატურაში აღიქმენა, როგორც არბიტრაჟის მიმართ ნეგატიურად განწყობილი რეგიონი.²⁵

მას შემდეგ, რაც დაიშალა საბჭოთა კავშირი, სადაც სახელმწიფო საკუთრება დომინირებდა და, აქედან გამომდინარე, კერძო სამართლებრივ საკითხებსა და განსაკუთრებით, საერთაშორისო კერძო სამართალს მეტად მოკრძალებული როლი ჰქონდა მიკუთვნილი, თითქმის ყოველი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა ცდილობს გაითავისოს საბაზრო ეკონომიკის პირობები და, შესაბამისად, შეუსაბამოს თავისი კერძო სამართალი მსოფლიო ვაჭრობის მოთხოვნილებებს.²⁶

პირველი დოკუმენტური წყაროები, რომლებიც რუსეთში სავაჭრო წოდებისთვის განსაკუთრებული სასამართლოების არსებობას ადასტურებენ, თარიღდება 1135 წლით. როგორც სასამართლო სისტემა, კომერციული სასამართლოები რუსეთის იმპერიაში ჩამოყალიბდა მე-19 საუკუნის დასაწყისში. პირველი კომერციული სასამართლო, რომელიც სავაჭრო დავებს წყვეტდა, დაარსდა 1808 წელს ოდესაში იმ დროისთვის საფრანგეთში არსებული მსგავსი სასამართლო დაწესებულებების ანალოგიით. ამის ინიციატივა გამოიჩინეს ადგილობრივმა ვაჭრებმა, რომელთა მნიშვნელოვან ნაწილს შადგენდნენ საფრანგეთიდან ჩამოსახლებული პირები. 1831 წლიდან 1917 წლის

²⁴ გიორგი წკრილაშვილი, უცხოეთის საარბიტრაჟო გადანტვეტილებების ცნობისა და აღსრულების საერთაშორისო-სამართლებრივი მექანიზმები, სამართალი, 1999; გვ.51

²⁵ გიორგი ცერცვაძე., საერთაშორისო არბიტრაჟი (შედარებითი ანალიზი), სადისერტაციო ნაშრომი; თბილისი, თბილისის უნივერსიტეტი; 2008, გვ.64

²⁶ ლევან გოთუა, უცხო ქვეყნის სასამართლო გადანტვეტილებებისა და უცხოური საარბიტრაჟო გადანტვეტილებების აღსრულება, თბილისი, 2010, გვ. 11

ბოლშევიკურ რევოლუციამდე მოქმედებდა იმპერატორ ნიკოლოზ I-ის ბრძანება კომერციული სასამართლოების შექმნის შესახებ და სავაჭრო სამართალწარმოების დებულება. რასაკვირველია. ეს ნორმები ვრცელდებოდა მაშინდელ საქართველოზეც, როგორც რუსეთის უკიდევანო იმპერიის შემადგენელ ნაწილზე. ნიშანდობრივია, რომ რუსეთის კომერციული სასამართლოები შერეული პრინციპით იყო შექმნილი და შედგებოდა არა მარტო ვაჭრებისგან, არამედ ხელისუფლების მიერ დანიშნული პირებისგანაც. აღსანიშნავია, რომ ასეთი სასამართლოები განსჯადობა საკმაოდ შეზღუდული იყო სახელმწიფო სასამართლოების თვართო უფლებამოსილები გამო.²⁷

იმისთვის, რომ საბჭოთა არბიტრაჟების დადებითი და უარყოფი მხარეები განვიხილოთ აიუცილებელია მოვიყვანოთ რამდენიმე ყოფილი საბჭოთა ქვეყნის არბიტრაჟის მაგალითები:

რუსეთისა და უკრაინის საკონმდებლობა საპროცესო სამართლისა და კერძო არბიტრაჟის სფეროში თითქმის ერთმანეთის იდენტურია. 1993 წლის რუსულმა კონსტიტუციამ სასამართლო ხელისუფლების შემადგენელ ნაწილად გამოაცხადა სპეციალიზებული სახელმწიფო საარბიტრაჟო სასამართლო, რომელიც განიხილავს სამენარმეო და სხვა ეკონომიკური საქმიანობიდან წარმოშობილ დავებს. სახელმწიფო საარბიტრაჟო სასამართლოთა სისტემას სათავეში უდგას რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საარბიტრაჟი სასამართლო. საარბიტრაჟო სასამართლოები საქმეებს განიხილავენ არა სამოქალაქო საპროცესო, არამედ საარბიტრაჟო საპროცესო კოდექსის საფუძველზე.

როგორც კანონმდებლობაში, ასევე რუსულ იურიდიულ ლიტერატურაში გავრცელებულია და ღიარებული დაყოფა სახელმწიფო და არასახელმწიფო არბიტრაჟებად. ამ ინსტიტუტების განსხვავებულად აქტიურად გამოიყენება ტემინები „საარბიტრაჟო“ და „სამედიატორო“ სამართალი.

ამრიგად, რუსეთში არსებობს ორი სახის არბიტრაჟი. პირველი სახელმწიფო არბიტრაჟია, ხოლო მეორე კი საერთაშორისო კომერციული (კერძო) არბიტრაჟი, რომლის საქმიანობის სამართლებრივ საფუძვლებსაც 1993 წელს მიღებული კანონი წარმოადგენს.

რუსულ სამართალში არბიტრაჟად იწოდება როგორც სპეციალიზებული სახელმწიფო სამართალი, ასევე დავების გადაწყვეტის ნებაყოფლობითი და

^{27 27} ლევან გოთუა, უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებებისა და უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულება, თბილისი, 2010, გვ. 44

სასამართლოსთან მიმართებაში ალტერნატიული მექანიზმი, რომელიც მხოლოდ გარკვეული კერძოსამართლებრივი დავების მიმართ შეიძლება იქნებ გამოყენებული. რუსული სახელმწიფო საარბიტრაჟო სამართალი წარმოადგენს ჰიბრიდს, რომელიც მოიცავს როგორც არბიტრაჟის, ასევე, კომერციული და ადმინისტრაციული სასამართლოების ნიშნებს. ამიტომ, დასახელების მიუხედავად, საარბიტრაჟო სასამართლოები კერძო არბიტრაჟში არ უნდა აირიოს.

ასევე არსებობს მოსაზრება, თითქოს საარბიტრაჟო სასამართლოების შექმნით რუსეთმა მეტნაკლებად გაიზიარა კომერციული სასამართლოების დასალური სტანდარტები.

სარჭოთა პერიოდში სახელმწიფო არბიტრაჟი იყო სასამართლო, რომელიც ფლობდა ექსკლუზიურ იურისდიქციას სახელმწიფო საწარმოებს შორის არსებული დავების გადანყვეტასთან დაკავშირებით.

„დავების საარბიტრაჟო წესით განხილვა საბჭოთა კავშირში უცხო არ ყოფილა. უფრო მეტიც, საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის მეოცე თავი შესაბამისად სამოქალაქო (მატერიალური, საპროცესო) კოდექსები სასამართლოსა და არბიტრაჟს ერთმანეთის გვერდით აყენებდნენ.“²⁸

1917 წლის ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ, წინ საუკუნის 20-იან წლებში საბჭოთა ხელისუფლება ახორციელებდა ე.წ. ახალ ეკონომიკურ პოლიტიკა, რომლის ფარგლებშიც ფართოდ გამოიყენებოდა საარბიტრაჟო კომისიები, თუმცა ამ პრაქტიკამ დიდხანს არ იარსება და საარბიტრაჟო კომისიები, ისევე, როგორც საბაზრო ეკონომიკის მრავალი სტრუქტურა, გაუქმდა. რაც შეეხება საბჭოთა კავშირში საარბიტრაჟო სასამართლოს სახელით ცნობილ სასამართლო სისტემას, მას სულ სხვა შინაარსობრივი დატვირთვა ჰქონდა-ეს იყო სახელმწიფოებრივი არბიტრაჟი, რომელიც აწესრიგებდა დანესებულებებს შორის დავებს.

მხოლოდ საბჭოთა კავშირის არსებობის უკანასკნელ წლებში გახდა შესაძლებელი კომეციული არბიტრაჟის როლის გაძლიერება.²⁹

რუსული საარბიტრაჟო სამართლის ერთი თავისებურება ასევე უნდა აღინიშნოს, რომელიც საკმაოდ საინტერესოა როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული

²⁸ გიორგი ცერცვაძე., საერთაშორისო არბიტრაჟი (შედარებითი ანალიზი), სადისერტაციო ნაშრომი; თბილისი, თბილისის უნივერსიტეტი; 2008, გვ. 67

²⁹ ლევან გოთუა, უცხო ქვეყნის სასამართლო გადანყვეტილებებისა და უცხოური საარბიტრაჟო გადანყვეტილებების აღსრულება, თბილისი, 2010, გვ. 43-44

თვალსაზრისით. რუსული კანონი მოდელური კანონის მსგავსად ითვალისწინებს უზრუნველყოფის ზომების მიღებას სასამართლოს მიერ, რაც არ განიხილება საარბიტრაჟო შეთანხმების საწინააღმდეგო მედებად. მიუხედავად ამისა, 2002 წლის საარბიტრაჟო საპროცესო კოდექსის მიღებამდე ეს ნორმა პრაქტიკულად მკვდარ ნორმად ითვლებოდა საკმაოდ ბანალური მიზეზის გამო“ სასამართლოების უარს ამბობდნენ უზრუნველყოფის სათანადო ზომების მიღებაზე და მიუთითებდნენ სამოქალაქო საპროცესო და საარბიტრაჟო საპროცესო კოდექსში სათანადო მოწესრიგების არარსებობაზე. ფორმალური დაბრკოლებები არბიტრაჟს არ უტოვებდნენ სანსს, ყოფილიყო მაქსიმალურად ეფექტური. საარბიტრაჟო საპროცესო კოდექსის მიღებით ამ გაუგებრობას წერტილი დაესვა.

რუსი იურისტების მონაცემებით რუსეთის ფედერაციის სავაჭრო სამრეწველო პალატის საერთაშორისო არბიტრაჟის მიერ განხილული საქმეების რაოდენობდა იზრდება.³⁰

რაც შეეხება ლიტვასა და ლატვიას მათაც გააჩნიათ თავიანთი დამახასიათებელი თავისებურებები: ლიტვის კანონმდებლობის მიხედვით, შუამდგომლობა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით შეიტანება სააპელაციო სასამართლოში. სააპელაციო სასამართლოს შეუძლია საკუთარი ინიციატივით გააუქმოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილება თუ: ა) დავის საგანი ცდება საარბიტრაჟო წესით აღნიშნული დავის დასაშვებობის ფარგლებს ბ) გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება ლიტვის საჯარო წესრიგს. არბიტრაჟის მიერ საქმის განხილვის აუცილებელი წინაპირობაა საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობა, თუმცა ლიტვის კანონმდებლობა ითვალისწინებს შემთხვევას, როცა არბიტრაჟის კონპეტენცია , გარდამხარეთა შეთანხმებისა, შეიძლება განისაზღვროს საერთაშორისო ხელშეკრულებითაც.

ლიტვა არის თითქმის ყველაზე მეტნაკლებად მნიშვნლოვანი საერთაშორისო შეთანხმების მონაწილე, მათ შორისაა ნიუ-იორკის 1958 წლის და ვაშინგტონის 1965 წლის კონვენციები. არბიტრაჟთან დაკავშირებულ ნორმებს შეიჩავეს აშშ-სთან დადებული ხელშეკრულება ინვესტიციების შესახებ. რაც შეეხება ლატვიას, 1991 წელს შეიქმნა სამეურნეო სასამართლოების სისტემა თავისი ორი ინსტანციით, რომელიც რუსული სახელმწიფო საარბიტრაჟო სასამართლოების თავისებურ ვარიანტად შეიძლება განვიხილოთ. 1997 წელს მიღებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 28-ე მუხლის თანახმად სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე

³⁰ გიორგი ცერცვაძე., საერთაშორისო არბიტრაჟი (შედარებითი ანალიზი), სადისერტაციო ნაშრომი; თბილისი, თბილისის უნივერსიტეტი; 2008, გვ. 67

დავები ლატვიის კანონმდებლობითა და საერთაშორისო შეთანხმებით გათვალისწინებულ შემთხვევაში და მხარეთა შეთანხმებით შეიძლება განსახილველად გადაეცეს არბიტრაჟს.³¹

ყოფილი საბჭოთა სახელმწიფოების საარბიტრაჟო კანონმდებლობა მეტნაკლებად შეესაბამება მათ მიერ გატარებული სამართლის პოლიტიკის ზოგად ტენდენციებს. სამართლებრივი ცნობიერება ჯერ კიდევ არ არის მზად ლიბერალური ნორმების სწორედ გამოყენებისათვის. სახელმწიფოს მხრიდან საკმაოდ ძლიერია ყველაფერის გაკონტროლების „ცდუნება“. ამავე დროს ნებისმიერ კერძო ინიციატივა, რომელიც საჯარო ხელისუფლების მხრიდან მკაცრ კონტროლს არ ექვემდებარება, პოსტსაბჭოთა იურისტების ცნობიერებაში იმანენტურად გულისხმობს უფლების გამოყენებასა და თაღლითობის საფრთხეს.

1.1.3 კანონი „კერძო არბიტრაჟის შესახებ“ და არბიტრაჟების სრული დამოუკიდებლობის სამართლებრივი შედეგები.

საქართველოში სამართლებრივი რეფორმის სახელმწიფო კომისიის პროგამით გათვალისწინებული იყო საერთაშორისო კერძო სამართლებრივი ურთიერთობებიდან წარმოშობილი დავების განხილვა-გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმის - საერთაშორისო სავაჭრო არბიტრაჟის საქმიანობის მომწესრიგებელი კანონპროექტის შემუშავება. ამ კომისიამ უცხოელი სპეციალისტების მონაწილეობით შეიმუშავა ჯერ კიდევ 1996 წელს და საქართველოს მთავრობას წარუდგინა კანონის პროექტი „კერძო არბიტრაჟის შესახებ“ აღნიშნული პროექტი შემუშავებული იყო გაეროს საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისიის 1985 წლის მოდელური (სანიმუშო) კანონის საფუძველზე და იგი გათვალისწინებული იყო არა მარტო საერთაშორისო სავაჭრო, არამედ შინასახელმწიფოებრივი, ეროვნული არბიტრაჟის ანუ სამედიატორო სასამართლოსთვის.

ამასთან ერთად, ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „კერძო არბიტრაჟის შესახებ“, რომელიც მხოლოდ შინასახელმწიფოებრივი, ეროვნული არბიტრაჟის (სამედიატორო სასამართლოს)

³¹ გიორგი ცერცვაძე., საერთაშორისო არბიტრაჟი (შედარებითი ანალიზი), სადისერტაციო ნაშრომი; თბილისი, თბილისის უნივერსიტეტი; 2008, გვ. 67-70

საქმიანობას აწესრიგებს და რომელიც სრულებით არ უწევდა ანგარიშს და არ ითვალისწინებდა საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისიის (იუნსიტრალი) ზემოთ დასახელებული კანონის პრინციპებსა და მოთხოვნებს.³²

საბჭოთა ტიპის საარბიტრაჟო სისტემამ 1997 წელს დაასრულა თავისი არსებობა თბილისის საარბიტრაჟო სასამართლოების ფუნქციონირების შეწყვეტასთან ერთად. მას შემდეგ, რაც 1997 წლის 17 აპრილს ამოქმედდა კანონი კერძო არბიტრაჟის შესახებ. აღნიშნული კანონი წარმოადგენდა ნოვაციას ქვეყნის მატერიალურ სამართლებრივ სივრცეში, ასევე აღგენდა ახალ შესაძლებლობებს სამოქალაქო დავების გადაწყვეტის ალტერნატიული მეთოდების მეშვეობით, რითაც ზღუდავდა სასამართლო უფლებამოსილებას, როგორც ამ მომენტამდე ერთადერთ სამოქალაქო დავების განმხილველ ორგანოს. გარდა აღნიშნულისა, საარბიტრაჟო ინსტიტუტი ყალიბდებოდა, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირი და ამგვარად გარდა საჯარო უფლებამოსილებისა, გააჩნდა კერძო ინტერესებიც და წარმოადგენდა საქართველოს მოქალაქეთათვის ახალი ტიპის სამენარმეო საქმიანობას.

საქართველოს კანონი კერძო არბიტრაჟის შესახებ აყალიბებდა ზოგად წესებს შემდეგ საკითხებზე: 1. საარბიტრაჟო შეტანხმება; 2. არბიტრაჟის შემადგენლობა, მათი უფლებები, არბიტრების დანიშვნისა და გათავისუფლების წესი; 3. საარბიტრაჟო განხილვის პროცედურული საკითხები, როგორებიცაა სარჩელი, განხილვის ადგილი, შეტყობინება, მონშეთა დაკითხვა, საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების მოთხოვნა და სხვა.

ყველაზე მთავარი, რაც აღნიშნულმა კანონმა დაადგინა, იყო არბიტრაჟის დამოუკიდებლობა და მისი გადაწყვეტილებების ძალა, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ მხარეებს მხოლოდ შეზღუდულ შენთხვევაში ჰქონდათ მისი გასაჩივრების უფლება. ამგვარ კომპეტენციას მიეკუთვნებოდა მაგალითად, არბიტრაჟის უფლება „საკუთარი ინიციატივით“ გამოიტანოს დადგენილება მტკიცებულებათა უზრუნველყოფის შესახებ ან საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ძალაში შესვლის შესახებ არბიტრაჟის თავჯდომარის მიერ გაცემული საარბიტრაჟო წარწერის საფუძველზე შესრულდეს იძულებითი აღსრულება. აღნიშნულ პრინციპს ამყარებდა ის გარემოებაც, რომ არბიტრაჟის გადაწყვეტილების გასაჩივრება სასამართლოში შესაძლებელი იყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილება ეწინააღმდეგებოდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სისხლის სამართლის ნორმებს, ან დარღვეული იყო

³² თენგიზ ლილუაშვილი, 2001, *საერთაშორისო კერძო არბიტრაჟი*, თბილისი, ჯისიაი; გვ.165-166

მხარეთა შეთანხმება. ყოველგვარი შემდგომი კონკრეტიკის გარეშე საკანონმდებლო დონეზე, ამგვარი უკონტროლო საჯარო კომპეტენციის გადატანა კერძო სამართლის სუბიექტზე, რომელიც თავისი არსითა და იდებით მიმართულია მოგების მიღებაზე, საკმაოდ სარისკო ნაბიჯი იყო. იგი შეიცავდა უამრავ ბუნდოვან და ორაზროვან ნორმას, წარმოადგენდა მხოლოდ ნაციონალურ დონეზე არსებული არბიტრაჟის მარეგულირებელ აქტს და საკმაოდ რთული იყო მისი გამოყენება საერთაშორისო საარბიტრაჟო ინსტიტუტებთან მიმართებაში. ამ ინსტიტუტის განვითარება ქვეყანაში არაერთგვაროვნად მიმდინარეობდა-ყველაზე მძიმე პერიოდი კანონისთვის მისი საგადასახადო დავების გადასაწყვეტად გამოყენება იყო, რაც შემდგომში საკმაოდ ხმაურიანად იქნა შეჩერებული, რადგან ასოცირდებოდა კორუფციასთან და დარგობრივ მიკერძოებულობასთან.³³

კანონი „კერძო არბიტრაჟის შესახებ“ არ აწესრიგებდა უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასთან დაკავშირებული შიდა ნორმატიული აქტებს. რაც შეეხება შიდა რეგულირებას, არბიტრაჟებს მინიჭებული ჰქონდათ მეტად ფართო უფლებები. მათ არ სჭირდებოდათ სახელმწიფო სასამართლოების დასტური თავიანთი გადაწყვეტილებების აღსასრულებლად. აღნიშნულმა უკონტროლო სიტუაციამ სავალალო პრაქტიკამდე მიგვიყვანა. იმართებოდა ფიქტიური საარბიტრაჟო პროცესები, გაჩნდა კორუფცია, რასაც მოჰყვა გახმაურებული პროცესები, როდესაც დადგა ზოგირთი არბიტრის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხი. „კერძო არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედების პერიოდში საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკამ აჩვენა, რომ ამ ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებებით ირღვეოდა მხარეთა არა მარტო საპროცესო უფლებები, არამედ მატერიალურ-სამართლებრივი უფლებებიც. აღნიშნულის გათვალისწინებით, ამჟამად მოქმედ კანონში კანონმდებელმა ჩადო კონტროლის მექანიზმი, როდესაც საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებამდე სასამართლოს მიერ მისი ცნობაა საჭირო.³⁴

როგორც წესი, კანონებს წერენ იურისტები, განსაკუთრებით მაღალია სწავლული სამართალმცოდნეებისა და მაღალკვალიფიციური პრაქტიკოსი იურისტების როლი სამართლის სფეროსთან დაკავშირებულ საკანონმდებლო აქტების მომზადების პროცესში. ასეთი კანონები, როგორც წესი, იწერება იურისტების პროფესიულ ენაზე და

³³ ნიკოლოზ ფიცხელაური., ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობებთან, თბილისი, 2015, გვ. 49-51

³⁴ გიორგი ცერცვაძე, საერთაშორისო არბიტრაჟი შედარებითი ანალიზი, თბილისი, 2008, გვ.143

მნიშვნელოვანწილად განკუთვნილია პროფესიონალი იურისტებისთვის. თავისებურ ზეგავლენას ახდენს კანონის აღქმადობაზე მთარგმნელის კვალიფიკაცია. ყველაფერი ეს არც თუ იშვიათად ქმნის გარკვეულ პრობლემებს კანონის ცალკეული მუხლის სწორად და ცალსახად გაგებაში, რაც განსაკუთრებით იგრძნობა „კერძო არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონთან მიმართებაში. ამ კანონის თანახმად, არბიტრი შესაძლოა იყოს ნებისმიერი ფიზიკური პირი. მათთვის იურიდიული განათლება და სამართლის სფეროში პრაქტიკა სავალდებულო არ არის. ასეთი მიდგომა კერძო არბიტრაჟის უმთავრესი უპირატესობაა, რადგან სამეურნეო დავეების გადაწყვეტაში ასპარეზს უთმობს, მეურნეობის კონკრეტული დარგის მაღალკვალიფიციურ, დიდი გამოცდილების პროფესიონალ სპეციალისტებს, თუმცა, ამავე დროს ქმნის გარკვეულ პრობლემებს კანონის წაკითხვისა და საპროცესო ნორმების დაცვასთან დაკავშირებით.

35

მიუხედავად იმისა, რომ კერძო დავეების ალტერნატიული წესით განხილვა ზღუდავს სახელმწიფოს მონოპოლიას მართლმსაჯულების განხორციელებაზე, ეს ისევ და ისევ სახელმწიფოს ინტერესებიდა გამომდინარე.

მეორე მხრივ, არბიტრაჟი ექვემდებარება სახელმწიფოს კონტროლს, რადგან სახელმწიფო არ დაუშვებს თავის წიაღში აბსოლუტურად დამოუკიდებელი მართლმსაჯულების განხორციელებას. არბიტრაჟზე სახელმწიფო კონტროლის მიზანი შეიძლება განვიხილოთ სახელმწიფოს, მხარეთა და მესამე პირთა ინტერესების ჭრილში.

სახელმწიფოს ინტერესები განსაკუთრებით ნათელია. ესაა სამართლიანობისა და სამართლებრივი სახელმწიფოს უმთავრესი პრინციპების დაცვა. სახელმწიფო კონტროლის გამხორციელების უმნიშვნელოვანესი ფორმაა სასამართლო პროცესი, რომლის საფუძველსაც უკვე შემდგარი საარბიტრაჟო განხილვა წარმოადგენს.

აღსანიშნავი და თვალშისაცემია ის ფაქტი, რომ საარბიტრაჟო სასამართლოს თავჯდომარეს უფლება აქვს, გასცეს სააღსრულებო წარწერა საკუთარი ინიციატივით ანდა არბიტრაჟის ან მხარის მოთხოვნის საფუძველზე, ასეთი მოთხოვნის მისთვის წარდგენიდან 5 დღის განმავლობაში („კერძო არბიტრაჟის შესახებ“ კანონის 42-ე მუხლის II პუნქტი). რამდენად მიზანშეწონილია კერძო ხასიათის სასამართლოს თავჯდომარისათვის, რომელსაც კანონი იურისტად ყოფნასაც კი არ სთხოვს, ასეთი ფართო უფლებამოსილების მინიჭება? პასუხი ნათელია-ეს ფაქტი წარმოადგენს

³⁵ დიმიტრი აბესაძე და სხვები, კერძო არბიტრაჟი სამართლებრივი საფუძვლები და პრაქტიკა, რედაქტორი ჯემალ ინაიშვილი, თბილისი, 2005, გვ. 14

მოქმდი კანონის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ხარვეზს, ვინაიდან სახელმწიფო კონტროლის შესაძლებლობა მნიშვნელოვნად იზღუდება.³⁶

აღნიშნულიდან გამომდინარე, საჭირო გახდა ამ სფეროს უკეთ რეგულირება, ამიტომ 2010 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედდა ახალი კანონი არბიტრაჟის შესახებ. აღნიშნულმა კანონმა უფრო მეტად დაარეგულირა მხარეთა უფლებები და მოვალეობები და არბიტრებსაც კანონის შესაბამისად განესაზღვრათ მათი ვალდებულებები.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო მიეკუთვნება იმ ქვეყნებს, რომლის საარბიტრაჟო კანონმდებლობა პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს (თუ არ ჩავთვლით, საგადასახადო კოდექსის ზოგიერთ ბუნდოვან დებულებას) და ხელს უწყობს საარბიტრაჟო საქმისწარმოებას, საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღიარებასა და აღსრულებას ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ.

საქართველოს კანონი „კერძო არბიტრაჟის შესახებ“ არ არის შეზღუდული, შეესაბამება თანამედროვე საბაზრო ურთიერთობების მოთხოვნებს, უზრუნველყოფს საარბიტრაჟო შეთანხმებების რეალიზაციასა და საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულებას ეკონომიკური ურთიერთობების, მათ შორის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სფეროში.³⁷

1.1.4 კანონი „არბიტრაჟის შესახებ“ და მოქმედი არბიტრაჟების არაეფექტურობის მთავარი მიზეზები.

საქართველოში 2010 წლის იანვრიდან სამოქმედოდ შემოღებული იქნა ახალი კანონი „არბიტრაჟის შესახებ“, რომლის მიღების გამოც გაუქმდა 1997 წლის კანონი „კერძო არბიტრაჟის შესახებ“. „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მეორე პუნქტში პირდაპირაა მითითებული იმის შესახებ, რომ არბიტრაჟი უფლებმოსილია განიხილოს პირთა თანასწორობაზე დამყარებული კერძო ხასიათის ის ქონებრივი დავა, რომლის მოწესრიგებაც მხარეებს შეუძლიათ ერთმანეთს შორის. „არბიტრაჟის შესახებ“ კანონმა კიდევ უფრო განამტკიცა სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა დამოუკიდებლობა, თვითონ აირჩიონ არა მარტო უფლების დაცვის ესა

³⁶ ლევან გოთუა, კერძო დავების ალტერნატიული წესით განხილვის თავისებურებანი ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით, მართლმსაჯულება, 2007, გვ.140-141

³⁷ დიმიტრი აბესაძე და სხვები, კერძო არბიტრაჟი სამართლებრივი საფუძვლები და პრაქტიკა, რედაქტორი ჯემალ ინაიშვილი, თბილისი, 2005, გვ. 19

თუ ის ფორმა, არამედ არბიტრაჟის მეშვეობით დავის გადაწყვეტის თაობაზე შეთანხმების მიღწევის შემდეგ თვითნვე განსაზღვრონ ის კონკრეტული არბიტრაჟი, რომელსაც მიანდობენ დავის გადაწყვეტას. მაგრამ აქვე ისიცაა გასავალისწინებელი, რომ საქართველოს სახელმწიფო, რომელიც დაინტერესებულია სამოქალაქო-სამართლებრივი წყობის სიმტკიცით, მართლწესრიგის შენარჩუნებით, ვერ მიანდობს თავისი მოქალაქეები თუ იურიდიული პირების სამართლებრივი დავების განხილვა-გადაწყვეტის საქმეს მხოლოდ კერძო სამედიატორო სასამართლოებს, მიუხედავად იმისა, რომ ეს დავები კერძო სამართლებრივი ურთიერთობიდან არის წარმოშობილი.³⁸ სწორედ ამიტომ „არბიტრაჟის შესახებ“ კანონის მე-6 მუხლით განისაზღვრა საქართველოში არბიტრაჟის დამოუკიდებლობისა და სასამართლოს ჩარევის ფარგლები.

ახალი კანონიდან გამომდინარე, მხარეს მიეცა უფრო მეტი შესაძლებლობა მიმართოს სასამართლოს წარმოშობილი პრობლემის გადასაწყვეტად, ხოლო სასამართლოს კი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების თუ მიმართვების განსჯის. კერძოდ, ახალი კანონის მიხედვით, საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები გამოიყენება მხოლოდ სასამართლოს მეშვეობით და კონკრეტული, კანონში იმპერატიულად ჩამოთვლილი პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში. აგრეთვე, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა/აღსრულება და გასაჩივრება შესაძლებელი ხდება მხოლოდ სააპელაციო სასამართლოსთან შუამდგომლობის მეშვეობით (საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების დროს უზენაესის მიერ) და კონკრეტული, კანონში განსაზღვრული პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში.

იმ პირობების ჩამონათვალში, რის საფუძველზეც სასამართლოს შესაძლებლობა ეძლევა გააუქმოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, ასევე შესულია (UNCITRAL) სამოდელო კანონის მიერ გათვალისწინებული, მაგრამ საერთაშორისო არბიტრების მიერ „ბუნდოვნად“ განმარტებული საჯარო წესრიგისა და იმპერატიული ნორმების პრინციპები.³⁹

„არბიტრაჟის შესახებ“ კანონის შესაბამისად ცვლილებები შევიდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსში, კერძოდ, „სასამართლოს მონაწილეობა საარბიტრაჟო

³⁸ მარიამ ცისკაძე, საქართველოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების სფეროში სასამართლოს ჩარევის ფარგლები, რომან შენგელიას 70 წლის საიუბილეო კრებული, სამართლის პრობლემები, თბილისი, სამართალი, 2012, გვ.440-441

³⁹ ნიკოლოზ ფიცხელაური., ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობებთან, თბილისი, 2015, გვ. 51-52

განხილვისა და საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებაში“. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისი ნორმებით ერთმანეთისგან არის გამიჯნული პირველი ინსტანციის, სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოების უფლებამოსილებები საარბიტრაჟო წარმოებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.⁴⁰

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კარი მეშვიდე (პრიმა) დაეთმო საარბიტრაჟო განხილვისა და გადაწყვეტილების აღსრულებაში სასამართლოს მონაწილეობას. არბიტრაჟთან დაკავშირებული საქმეების განხილვის თავისებურებას, არბიტრაჟის კომპეტენციას, სარჩელის უზრუნველყოფას, მტკიცებულებათა მოპოვებას და ა.შ.⁴¹

მართალია, ამ კანონს საფუძვლად უდევს საერთაშორისო კონვენციები და შეთანხმებები, კონკრეტულად კი გაეროს საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისიის (UNCITRAL) 1985 წელს შექმნილი მოდელური კანონი, კიდევ რჩება გადაუჭრელი პრობლემები. განსაკუთრებით კი საყურადღებოა სასამართლოს როლი საარბიტრაჟო განხილვასა და საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებაში. კანონმა შემოიღო იმ დონის სასამართლო კონტროლი, რომ ისმება კითხვა: ხომ არ კარგავს არბიტრაჟი თავის მნიშვნელობას?!⁴²

სასამართლოს როლის ზრდამ და არბიტრაჟის უფლებების შევიწროვებამ შესაძლებელია გამოიწვიოს მოქმედი არბიტრების არაეფექტურობა და მათ მიმართ უნდობლობა.

ის ფაქტი, რომ მხარეები არბიტრაჟს მიმართავენ მეტი ეფექტურობისთვის, მოქნილი სისტემისთვის, პროცესის ხანგრძლივობისა და ხარჯების დაზოგვის მიზნით, შეიძლება სასამართლოს მხრიდან საარბიტრაჟო განხილვასა და საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებაში ხშირმა ჩარევამ და კონტროლმა გამოიწვიოს არც ისეთი კარგი შედეგები. შესაძლოა არბიტრაჟმა დაკარგოს თავისი მნიშვნელობა და

⁴⁰ მარიამ ცისკაძე, საქართველოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების სფეროში სასამართლოს ჩარევის ფარგლები, რომან შენგელიას 70 წლის საიუბილეო კრებული, სამართლის პრობლემები, თბილისი, სამართალი, 2012, გვ.440

⁴¹ საქართველოს პარლამენტი, საქართველოს კანონი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საკანონმდებლო მაცნეს მონაცემთა ელექტრონული ბაზა; <https://matsne.gov.ge/>

⁴² ნიკოლოზ ფიცხელაური., ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობებთან, თბილისი, 2015, გვ.52

ეფექტურობა, რაც მხარეს უბიძგებს დავის მოსაგვარებლად მიმართოს არბიტრაჟს და არა სასამართლოს.

კერძო დავების გადაწყვეტა მხოლოდ სახელმწიფო სასამართლოების პრეროგატივა რომ იყოს, ამ უკანასკნელთა ეფექტური ფუნქციონირება თითქმის შეუძლებელი იქნებოდა. მართლმსაჯულება ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებშიც კი მნიშვნელოვან ხარჯებს მოითხოვს და ამიტომ სახელმწიფო სასამართლო განიცდის მნიშვნელოვან ინფრასტრუქტურულ პრობლემებს, პირველ რიგში, კადრების სიმცირესა და ტექნიკური აღჭურვილობის არასრულყოფილებას.

ასეთ სიტუაციაში სახელმწიფო ყველანაირად ცდილობს, განტვირთოს სასამართლოები. საარბიტრაჟო სამართალწარმოებისთვის ხელსაყრელი კანონმდებლობა ერთ-ერთი საშუალებაა ამ მიზნის განსახორციელებლად.

1.1.5. საარბიტრაჟო სამართალწარმოების ავტონომიურობის პრინციპი და დელოკალიზაციის თეორია.

საარბიტრაჟო შეთანხმების ავტონომიურობა საარბიტრაჟო სამართლის ძირითადი პრინციპია. მას აღიარებს ინგლისური, ფრანგული, გერმანული და შვეიცარული სამართალი. ავტონომიურობის პრინციპი ასევე უდავოდ არის მიჩნეული იურიდიულ მეცნიერებაში.

საარბიტრაჟო შეთანხმების ავტონომიურობა მიზნად ისახავს საქმის საარბიტრაჟო წესით განხილვის სასარგებლოდ მხარეთა მიერ გაკეთებული აღჩევანის დაცვას. ზოგადი წესის თანხმად, ხელშეკრულების თუ სხვა სამართლებრივი აქტის ბათილობა არ იწვევს მასში ჩართული საარბიტრაჟო შეთანხმების ბათილობასაც⁴³.

საქართველოს კანონი „კერძო არბიტრაჟის შესახებ“ მე-4 მუხლის თანახმად: თუ საარბიტრაჟო შეთანხმება მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების ნაწილს წარმოადგენს, მაშინ არბიტრაჟის მიერ გადაწყვეტილების გამოტანა ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ არ გამოიწვევს კანონის ძალით საარბიტრაჟო შეთანხმების ბათილობას⁴⁴.

⁴³ გიორგი ცერცვაძე., საერთაშორისო არბიტრაჟი (შედარებითი ანალიზი), სადისერტაციო ნაშრომი; თბილისი, თბილისის უნივერსიტეტი; 2008, გვ.101

⁴⁴ საქართველო, საქართველოს პარლამენტი, საქართველოს კანონი, კერძო არბიტრაჟის შესახებ (656, 17.04.1997), საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საკანონმდებლო მაცნეს მონაცემთა ელექტრონული ბაზა; <https://matsne.gov.ge/>

„კერძო არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლი აღიარებს საარბიტრაჟო შეთანხმების ავტონომიურობასაც, თუმცა დასახელებული კანონი ითვალისწინებს საარბიტრაჟო შეთანხმების ჩართვას მხოლოდ „მხარეთა შორის დადებულ ხელშეკრულებაში“ და არ განმარტავს შიძლება თუ არა ასეთი შეთანხმება წარმოადგენდეს სხვა სამართლებრივი აქტების, მაგალითად სამენარმეო საზოგადოების წესდების შემადგენელ ნაწილს.

საარბიტრაჟო შეთანხმების სამართლებრივი დაცვა აუცილებელია, რადგან მხარე, რომელმაც იცის, რომ არბიტრაჟში საქმის განხილვა მის ინტერესებში აღარ შედის, სწორედ საარბიტრაჟო შეთანხმების გაბათილებას ცდილობს. სხვადასხვა სახელმწიფოს კანონმდებლობამ საარბიტრაჟო შეთანხმების დაცვის განსხვავებული ფორმები შეიმუშავა, თუმცა პრინციპი მაინც ერთია: ნამდვილი საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობა გამორიცხავს სასამართლოს მიერ საქმის განხილვას⁴⁵.

მიუხედავად ამ თეორიის საკმაო პოპულარობისა, იგი ერთმნიშვნელოვნად მაინც არ არის გაზიარებული. მაგალითად, ლათინური ამერიკის სახელმწიფოები უამრავი ფორმალური საკანონმდებლო დაბრკოლებების შექმნის გზით ცდილობენ არბიტრაჟების გაკონტროლებას, ხოლო ცენტრალური აზიის ზოგიერთი სახელმწიფო

საერთოდ არ აღიარებს კერძო არბიტრაჟს და შესაბამისად არც სათანადო კანონმდებლობა გააჩნია.

არბიტრაჟების გაკონტროლებას, ხოლო ცენტრალური აზიის ზოგიერთი სახელმწიფო საერთოდს არ აღიარებს კერძო არბიტრაჟს და შესაბამისად არც სათანადო კანონმდებლობა გააჩნია.

არბიტრაჟის დელოკალიზაციის თეორია საყოველთაოდ აღიარებულად არ შეიძლება ჩაითვალოს, მას მომხრეების გარდა მოწინააღმდეგეებიც საკმარისად ჰყავს.

დელოკალიზაციის თეორიის მოწინააღმდეგეები თვლიან, რომ მხარეთა ინტერესები უკეთესადაა დაცული, როცა არბიტრაჟი რომელიმე კონკრეტულ მართლწესრიგთან არის დაკავშირებული. მათი აზრით არ არის ლოგიკური კონკრეტული მართლწესრიგებისგან არბიტრაჟის დამოუკიდებლობის მტკიცება, მერე კი ამავე არბიტრაჟის აღსრულების, ან საარბიტრაჟო განხილვის დროს წამოჭრილი საკითხების გადანაცვების მიზნით სწორედ კონკრეტული მართლწესრიგის ფარგლებში მოქმედი სასამართლოსთვის მიმართვა.

დელოკალიზაციის თეორიის პრაქტიკული დანიშნულება არბიტრაჟის საქმიანობაში სასამართლოს ან სხვა სახელმწიფო ორგანოს ჩაურევლობის აღიარებაშია.

⁴⁵ გიორგი ცერცვაძე., საერთაშორისო არბიტრაჟი (მედარებიითი ანალიზი), სადისერტაციო ნაშრომი; თბილისი, თბილისის უნივერსიტეტი; 2008, გვ.102

დელოკალიზაციის თეორიას ჯერ კიდევ არ ამოუწურავს თავისი შესაძლებლობები, ვინაიდან ის არბიტრაჟის ავტონომიურობას, კონკრეტული მართლწესრიგისადმი მის დამოუკიდებლობას გულისხმობს.⁴⁶

დღეს გავრცელებულია მიდგომა, რომ ძირითადი ხელშეკრულების მიმართ მოქმედი სამართლის განსაზღვრა თავისთავად არ გულისხმობს, რომ მხარეებმა იგივე არჩევანი გააკეთეს საარბიტრაჟო შეთანხმების მიმართ გამოსაყენებელ სამართალზე. საარბიტრაჟო შეთანხმების ავტონომიურობის პრინციპიდან გამომდინარე ძირითადი ხელშეკრულება და საარბიტრაჟო შეთანხმება ორ განცალკევებულ შეთანხმებას წარმოადგენს. ამასთან, საარბიტრაჟო შეთანხმება თავისი ბუნებით პროცესუალური შეთანხმებაა მაშინ, როდესაც ძირითადი ხელშეკრულების საგანი მხარეთა არსებითი, ვალდებულებითი უფლება-მოვალეობების მოწესრიგებაა.⁴⁷

არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის პირველ პუნქტში მითითებულია, რომ არბიტრაჟი უფლებამოსილია მიიღოს დადგენილება საკუთარი კომპეტენციის შესახებ. საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობის თუ ნამდვილობის დადგენის ჩათვლით. ამ მიზნით საარბიტრაჟო დათქმა, რომელიც ხელშეკრულების ნაწილია, განიხილება საარბიტრაჟო შეთანხმებად, რომელიც არ არის დამოუკიდებელი ხელშეკრულების სხვა პირობებზე. ხელშეკრულების ბათილად ცნობა არ გამოიწვევს საარბიტრაჟო დათქმის ბათილობას⁴⁸. მაგალითად, ხელშეკრულება, რომლის საგანს წარმოადგენს ბაზრის გაყოფა კონკურენციის წესების დარღვევით, უკანონოა და შესაბამისად ბათილი.

მიუნხენის უმაღლესმა რეგიონულმა სასამართლომ განიხილა დავა, სადაც მხარე დავობდა ხელშეკრულებისა და მასში შემავალი საარბიტრაჟო დათქმის, კანონისა და ზნეობის ნორმებთან შესაბამისობაზე. ვერძოდ, მხარე აპელირებდა ხელშეკრულების მოტყუებით დადებაზე და ფასისა და მომსახურების ღირებულების დისბალანსზე. ამ შემთხვევაში სასამართლოს გადასაწყვეტი იყო, უნდა გადაეცა თუ არა მას დავა არბიტრაჟისთვის განსახილველად გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 1032.2 მუხლის საფუძველზე. სასამართლომ განმარტა, რომ აქციათა ფასსა და მისი გამოსყიდვის ფასს შორის დისბალანსი, ჰიპოთეტურად შესაძლოა გამხდარიყო ძირითადი ხელშეკრულების გაბათილების საფუძველი, თუმცა არა საარბიტრაჟო შეთანხმების ბათილად ცნობის საფუძველი, რადგან ეს უკანასკნელი დამოუკიდებელ შეთანხმებას წარმოადგენდა. სასამართლომ დაადგინა, რომ მხარემ ვერ დაამტკიცა მოტყუების ფაქტი საარბიტრაჟო შეთანხმების მიმართ, და ვერც ის, რომ საარბიტრაჟო

⁴⁶ გიორგი ცერცვაძე, თბილისი 2008, დისერტაცია თემაზე: საერთაშორისო საარბიტრაჟო განხილვის წინაპირობები (შედარებითი ანალიზი), გვ.26

⁴⁷ გზამკვლევი არბიტრაჟი, საქალაქო(რაიონული) სასამართლოს მოსამართლეებისთვის, 2017, გვ. 58

⁴⁸ საქართველო, საქართველოს პარლამენტი, საქართველოს კანონი არბიტრაჟის შესახებ, (2009, 19.06.1280)

შეთანხმების პირობები არ მიუთითებდა მხარეთა უფლებების დისბალანსზე. სასამართლომ საარბიტრაჟო დათქმა ნამდვილად მიიჩნია⁴⁹.

1.2 საარბიტრაჟო სამართალწარმოების კონტროლის მექანიზმები და საერთო სასამართლოების როლი საარბიტრაჟო განხილვისას.

1.2.1 საარბიტრაჟო განხილვის დაწყება

საარბიტრაჟო განხილვა სასამართლო პროცესთან შედარებით მარტივ და მოხერხებულ პროცედურას წარმოადგენს. ამავე დროს არბიტრაჟისთვის დავის განსახილველად გადაცემა და მისი სწრაფი გადანწყვეტილება მთლანად მხარეთა აქტიურობასა და ინიციატივაზეა დამოკიდებული.⁵⁰

საარბიტრაჟო განხილვის ხარისხი პირდაპირ არის დამოკიდებული საარბიტრაჟო კორპუსის შემადგენლობაზე.⁵¹ საარბიტრაჟო განხილვისთვის აუცილებელი პირობაა მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულება და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ, მხარეებს შორის დაფიქსირებული საარბიტრაჟო შეთანხმება. როგორც წესი, საარბიტრაჟო განხილვების ობიექტად ქცეული დავების აბსოლუტურ უმრავლესობას, საფუძვლად უდევს მხარის/მხარეების პრეტენზიები, წამოჭრილი კომერციული ანუ ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არასრულად შესრულების გამო⁵².

⁴⁹ გზამკვლევი არბიტრაჟი, საქალაქო(რაიონული) სასამართლოს მოსამართლეებისთვის, 2017, გვ. 59

⁵⁰ გიორგი ცერცვაძე, საერთაშორისო არბიტრაჟი შედარებითი ანალიზი, თბილისი, 2008, გვ. 97

⁵¹ თ. ზამბახიძე 2004, *საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟი (პრობლემები და პერსპექტივა)*, პროფესორ ზურაბ ახვლედიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი კრებული, თბილისი, მერიდიანი, გვ. 86

⁵² დიმიტრი აბესაძე და სხვები, კერძო არბიტრაჟი სამართლებრივი საფუძვლები და პრაქტიკა, რედაქტორი ჯემალ ინაიშვილი, თბილისი, 2005, გვ. 13

ასეთ აქტიურობასა და ინიციატივას მხარეები სწორედ მაშინ იჩენებ, როდესაც დარწმუნებულნი არიან, რომ მათ შორის არსებული დავის ყველაზე იაფად, სწრაფად და ეფექტურად გადაწყვეტა სასამართლოს შესაძლებლობებს აღემატება. საარბიტრაჟო განხილვის თავისებურებას და სასამართლო განხილვისგან მის განმასხვავებელ ნიშანს ისიც წარმოადგენს, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრება მხოლოდ განაკუთრებულ შემთხვევაშია შესაძლებელი. მხარეთა მომავალი წარმატებული საქმიანობა შეიძლება სწორედ ასეთ გადაწყვეტილებაზე აღმოჩნდეს დამოკიდებული. ამიტომ აუცილებელია ყველა იმ დადგენილი წესის დაცვა, რომელიც საბოლოოდ საარბიტრაჟო განხილვის კანონიერებასა და მიღებული გადაწყვეტილების იურიდიულ ძალას უზრუნველყოფს⁵³.

საარბიტრაჟო დავის განხილვა იწყება არბიტრაჟში ამ დავის გადაცემის შესახებ შეტყობინების საარბიტრაჟო მოპასუხის მიერ მიღების დროს, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ეს დანაწესი გამომდინარეობს უნსიტრალის მოდელური კანონიდან. ხშირ შემთხვევაში ეს არის მოსამზადებელი

სხდომა, რომელზეც საქმე არსებითად არ იხილება და ემსახურება არბიტრაჟის მთავარ სხდომაზე განხილვისათვის საქმის მომზადებას⁵⁴.

საარბიტრაჟო განხილვის დასაწყებად არსებობს წინაპირობები, რომლებიც შეიძლება დავით ორ ძირითად ჯგუფად: მატერიალურ და ფორმალურ წინაპირობებად. ფორმალური წინაპირობა, რომლის არსებობის გარეშეც საარბიტრაჟო განხილვა ვერ დაიწყებოდა, არის საარბიტრაჟო შეთანხმება. ასეთი შეთანხმების არსებობის გარეშე არბიტრაჟმა უარი უნდა თქვას საარბიტრაჟო პრეტენზიის მიღებაზე. ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ საარბიტრაჟო შეთანხმებაზე ბევრია დამოკიდებული როგორც საქმის განხილვისა და გადაწყვეტის, ასევე მიღებული გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების დროს. საარბიტრაჟო შეთანხმება შეიძლება გაფორმდეს მხარეებს შორის როგორც დავის წარმოშობამდე, ასევე მისი წარმოშობის შემდეგ.

მეორე ფორმალური წინაპირობა გულისხმობს იმის გარკვევას, შეიძლება თუ არა, რომ დავა, რომელზეც არბიტრაჟმუნდა გამოიტანოს გადაწყვეტილება, იყოს საარბიტრაჟო განხილვის საგანი. როგორც წესი საკანონმდებლო აქტები ხშირად შეიცავენ მითითებას იმის თაობაზე, რომ ამა თუ იმ ხასიათის დავები არ შეიძლება

⁵³ გიორგი ცერცვაძე, საერთაშორისო არბიტრაჟი შედარებითი ანალიზი, თბილისი, 2008, გვ. 97

⁵⁴ ნიკოლოზ ფიცხელაური-დისერტაცია თემაზე: ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობასთან, გვ. 110

განხილოს არბიტრაჟმა. თუ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გამოტანილია ისეთ დავაზე, რომელიც შესაბამისი სახელმწიფოს კანონმდებლობით არბიტრაჟმა არ შეიძლება განიხილოს, მაშინ მინიმუმანდე მცირდება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების შანსი.

საარბიტრაჟო განხილვის მატერიალურ წინაპირობად უნდა განვიხილოთ დავის არსებობა. ცხადია, თუ დავა არ არსებობს, ან მხარეებმა შეწყვიტეს დავა, საარბიტრაჟო განხილვა ყოველგვარ აზრს კარგავს⁵⁵.

საარბიტრაჟო განხილვა უნდა დაიწყოს საარბიტრაჟო პრეტენზიის არბიტრაჟში წარდგენიდან 10 დღის ვადაში. თუ საარბიტრაჟო პრეტენზიის წარდგენისას არბიტრაჟის შემადგენლობა არ არის არჩეული, საარბიტრაჟო განხილვა უნდა დაიწყოს არბიტრაჟის ყველა წევრის დანიშნვიდან 10 დღის განმავლობაში, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი⁵⁶.

მხარეებს შეთანხმებით უფლება აქვთ განსაზღვრონ საარბიტრაჟო წარმოების ენა. თუკი არ არსდებობს ამგვარი შეთანხმება, საარბიტრაჟო წარმოების ენას ადგენს არბიტრაჟი კონკრეტული საქმიდან გამომდინარე ყველა შესაბამისი გარემოებების გათვალისწინებით. გარდა ამისა, შეიძლება დადგინდეს მტკიცებულებებისა და საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების და სხვა დოკუმენტების ოფიციალური ენა.

მთავარ სხდომაზე საქმე არსებითად განიხილება. არბიტრაჟს საჭიროების შემთხვევაში შეუძლია მოიწვიოს სპეციალისტები, დანიშნოს ექსპერტიზა, დაკითხოს მოწმები და ა.შ.⁵⁷

საარბიტრაჟო სასამართლოს შეუძლია მოისმინოს მოწმეთა ან ექსპერტთა ჩვენებები, ასევე, გამოითხოვოს მტკიცებულებები. კანონში გარკვევით არის ჩამოყალიბებული არბიტრაჟის უფლებები ამ სფეროში, კერძოდ:

თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, საარბიტრაჟო სხდომები დახურულია, ხოლო არბიტრაჟის წევრი ვალდებულია დაიცვას საარბიტრაჟო განხილვის დროს დიდი ინფორმაციის კონფიდენციალურობა. მხარეთა შეთანხმებით, ასევე შესაძლებელია განსაზღვრული იყოს საარბიტრაჟო განხილვის ფორმა, ჩატრედეს თუ არა ზეპირი განხილვა, იყოს თუ არა განხილვა დახურული. თუკი მსგავსი შეთანხმება არ არსებობს, არბიტრაჟი უფლებამოსილია

⁵⁵ გიორგი ცერცვაძე, საერთაშორისო არბიტრაჟი შედარებითი ანალიზი, თბილისი, 2008, გვ. 100

⁵⁶ საქართველოს პარლამენტი, საქართველოს კანონი, კერძო არბიტრაჟის შესახებ (656, 17.04.1997)

⁵⁷ ნიკოლოზ ფიცხელაური-დისერტაცია თემაზე: ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობასთან, გვ. 111

ჩაატაროს საქმეზე წარმოდგენილ მტკიცებულებათა ზეპირი განხილვა ან საქმის განხილვა წამოდგენილი საბუთებისა და მტკიცებულებების საფუძველზე, ამავე დროს, ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით არბიტრაჟი ვალდებულია საარბიტრაჟო განხილვის ნებისმიერ სტადიაზე ჩაატაროს ზეპირი განხილვა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარეებმა უარი განაცხადეს ზეპირ მოსმენაზე. ზეპირი მოსმენა სასამართლო პროცესს მოგვაგონებს. მხარეები ხშირად წარადგენენ მოკლე შესავალ სიტყვას, რომელშიც გასაზღვრულია ფაქტები და კანონის მოთხოვნები⁵⁸.

საარბიტრაჟო მოსმენა ზოგადად ნაკლებად ოფიციალურია, ვიდრე სასამართლო პროცესი. პროცედურული ან მტკიცებულებებთან დაკავშირებული საკითხების განხილვა შედარებით უფრო მოქნილია, ვიდრე სასამართლოში. მხარეების თანხმობის შემთხვევაში მათ ზეპირი მოსმენაც არ დასჭირდებათ. მხარეებს შეუძლიათ მხოლოდ დოკუმენტური მტკიცებულებების წარდგენა და დასაბუთებათა წერილობით მიწოდება არბიტრაჟისთვის განსახილველად. თუმცა, თუ ერთ მხარეს სურს ხვეპირი მოსმენის განხორციელება, მაშინ უნდა შედგეს ზეპირი მოსმენა. კანონი არბიტრაჟის შესახებ ასევე მითხვს, რომ მხარეებმა მიიღონ დროული შეტყობინება ასეთი მოსმენის შესახებ⁵⁹.

1.2.2. არბიტრების არჩევა

მხარეები უფლებამოსილნი არიან თვითონ განსაზღვრონ არბიტრების ვინაობა, რაოდენობა და დანიშვნის წესი. შესაძლოა ისინი არ ან ვერ შეთანხმდნენ არბიტრების დანიშვნის პროცედურაზე, ან მხარეების მიერ გათვალისწინებული არბიტრების დანიშვნის პროცედურა ვერ განხორციელდეს. ეს განსაკუთრებით ხშირია ad hoc არბიტრების შემთხვევაში, როდესაც მხარეებს არ სურთ დავას ადმინისტრირება გაუწიოს რომელიმე საარბიტრაჟო დაწესებულებამ, არამედ სურთ დავა განიხილოს ინსტიტუციონალური, ad hoc წესით შექმნილმა არბიტრაჟმა⁶⁰.

⁵⁸ ნიკოლოზ ფიცხელაური-დისერტაცია თემაზე: ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობასთან, გვ.111

⁵⁹ ნიკოლოზ ფიცხელაური-დისერტაცია თემაზე: ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობასთან, გვ.112

⁶⁰ გზამკვლევი არბიტრაჟში, საქალაქო (რაიონული) სასამართლოს მოსამართლეებისთვის, 2017, გვ.64

ზოგადი პრინციპის თანახმად, მხარეები აუცილებლად უნდა მონაწილეობდნენ არბიტრთა კოლეგიის ფორმირებაში, თუმცა სხვადასხვა რეგლამენტებითა და კანონმდებლობით ასეთი მონაწილეობის ხარისხი და ფორმა განსხვავებულია.

არბიტრები შეიძლება დაინიშნონ მხარეების, სასამართლოს, ან მესამე პირის მიერ.

არბიტრების ნომინირება (მათი დასახელება) უნდა განვასხვაოთ ტრიბუნალის (კოლეგიის) შემდგარად გამოცხადებისაგან. არბიტრთა შემადგენლობის სრულად ფორმირების შემდეგ საარბიტრაჟო პროცესს უძღვებიან არბიტრები და არა მუნდმივ მოქმედი არბიტრაჟი, რომელიც არბიტრთა შემადგენლობის ფორმირებამდე, როგორც წესი, თვითონ წყვეტს საორგანიზაციო საკითხებს.

მხარეებს შეუძლიათ არბიტრების დანიშვნა მესამე მიუკერძოებელ და დამოუკიდებელ პირს მიანდონ. ასეთი სეიძლება იყოს, მაგალითად სავაჭრო პალატა, ავტორიტეტული მოსამართლე ან სასამართლოს თავმჯდომარე, რომელსაც არა როგორც სახელმწიფოს წარმომადგენელს, არამედ, როგორც ობიექტურ მესამე პირს სთხოვენ, მხარეთა ნაცვლად დანიშნოს არბიტრი (არბიტრები).⁶¹

საქართველოს კანონის „კერძო არბიტრაჟის შესახებ“ მე-9 მუხლი ითვალისწინებს, რომ მხარეები ნიშნავენ არბიტრაჟის წევრთა თანაბარ რაოდენობას და ბათილია საარბიტრაჟო შეთანხმება, რომელიც არბიტრაჟის წევრთა დანიშვნისას ერთ-ერთ მხარეს აყენებს უპირატეს მდგომარეობაში.⁶² რაც გულისხმობს, იმას რომ კანონის იმპერატიული ნორმა იცავს მხარეებს გაუთვალისწინებელ მდგომარეობაში აღმოჩენისა და დაზარალებისგან.

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, თუ საარბიტრაჟო შეთანხმებით არბიტრთა რაოდენობა ლუნი რიცხვით განისაზღვრება, მაშინ უკვე დანიშნული არბიტრები ვალდებული არიან, დანიშვნიდან 10 დღის ვადაში დანიშნონ კიდევ ერთი არბიტრი, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. თუ არბიტრთა რაოდენობა არ იქნება განსაზღვრული მხარეთა შეთანხმებით, მაშინ არბიტრაჟი უნდა შეიქმნას სამი არბიტრის შემადგენლობით.⁶³

⁶¹ გიორგი ცერცვაძე, საერთაშორისო არბიტრაჟი შედარებითი ანალიზი, თბილისი, 2008, გვ. 220

⁶² საქართველო, საქართველოს პარლამენტი, საქართველოს კანონი, კერძო არბიტრაჟის შესახებ (656, 17.04.1997) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საკანონმდებლო მაცნეს ელექტრონული ბაზა: <https://matsne.gov.ge/>

⁶³ ნიკოლოზ ფიცხელაური-დისერტაცია თემაზე: ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობასთან, გვ.93

მოდელური კანონი ადგენს, რომ არბიტრთა შემადგენლობის დანიშვნასთან დაკავშირებით მხარეთა შეთანხმების არარსებობისას, თუ მხარე არ დანიშნავს არბიტრს ან მხარეთა მიერ დანიშნული არბიტრები მესამე არბიტრის დანიშვნაზე ვერ შეთანხმდებიან, არბიტრს დანიშნავს სასამართლო ერთ-ერთი შუამდგომლობის საფუძველზე. მხარის შუამდგომლობით სასამართლო იღებს აუცილებელ ზომებს, თუ მხარეები ვერ აღწევენ შეთანხმებას ან ერთ-ერთი მხარე არ იცავს შეთანხმებულ პროცედურას. სასამართლო კმპეტენტურია იმ შემთხვევაშიც, თუ ზემოაღნიშნულ პროცედურას არ იცავს თვით საარბიტრაჟო ინსტიტუტი, რომელმაც უნდა დანიშნოს არბიტრები. არბიტრთა დანიშვნაში სასამართლოს მონაწილეობის შესახებ მოდელური კანონით დადგენილ პრინციპულ მოთხოვნას იზიარებს კერძო არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონიც (მუხლი 11).⁶⁴

დაუშვებელია პირის არბიტრად დანიშვნა მისი თანხმობის გარეშე. არბიტრობაზე თანხმობა პირმა უნდა განაცხადოს წერილობით. არბიტრის (არბიტრების) და არბიტრაჟის თავჯდომარის დანიშვნის პროცედურა დგინდება მხარეთა შეთანხმებით. როგორც უკვე ავღნიშნეთ, მხარეთა შეთანხმების არარსებობისას : სამი არბიტრისგან შემდგარი არბიტრაჟის შემთხვევაში თითოეული მხარე ნიშნავს ერთ არბიტრს და ამ წესით დანიშნული ორი არბიტრი ნიშნავს არბიტრის თავჯდომარეს. თუ ერთ-ერთი მხარე არ დანიშნავს არბიტრს მეორე მხარის მოთხოვნიდან 30 დღის ვადაში, ან თუ ორი არბიტრი მათი დანიშნიდან 30 დღის ვადაში ვერ შეთანხმდება მესამე არბიტრის დანიშვნაზე, ერთ-ერთი მხარის მოთხოვნის საფუძველზე არბიტრს ნიშნავს სასამართლო განცხადების წარმოებაში მიღებიდან 30 დღის ვადაში. პირი, ეომწლიც უნდა დაინიშნოს არბიტრად, ვალდებულია არბიტრის მოვალეობის შესრულების დაწყებამდე საარბიტრაჟო წარმოების მხარეებს და არბიტრაჟს, მათი მოთხოვნის შმთხვევაში, წარუდგინოს წერილობითი ინფორმაცია განათლებისა და არბიტრად მუშაობის გამოცდილების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში). არბიტრის დანიშვნისას არბიტრაჟმა (სასამართლომ) უნდა გაითვალისწინოს მხარეთა მიერ შეთანხმებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი არბიტრის დანიშვნის უზრუნველსაყოფად.⁶⁵

საქართველოს კანონში „არბიტრაჟის შესახებ“ მე-11 მუხლში მითითებულია, რომ დაუშვებელია პირს აეკრძალოდ არბიტრად დანიშვნა, გარდა იმ შემთხვევისა,

⁶⁴ გიორგი ცერცვაძე, საერთაშორისო არბიტრაჟი შედარებითი ანალიზი, თბილისი, 2008, გვ. 343

⁶⁵ ნიკოლოზ ფიცხელაური-დისერტაცია თემაზე: ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის

ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობასთან, გვ.94

როდესაც იგი არის: ა) შეზღუდულქმედუნარიანი ან მხარდაჭერის მიმღები, თუ სასამართლო გადაწყვეტილების სხვა რამ არ არის განსაზღვრული; ბ) სახელმწიფო მოსამსახურე, სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირი, პოლიტიკური თანამდებობის პირი ან საჯარო მოხელე; გ) მსჯავრდებული დანაშაულის ჩადენისთვის და მოხსნილი არ აქვს ნასამართლეობა.⁶⁶

პრაქტიკაში არსებობს შემთხვევები, როცა მხარე ხანგრძლივად ელოდება შეხვედრის დაგეგმვას, ან არბიტრაჟის დასრულების შემდეგ გადაწყვეტილების გამოტანას. მსგავსი საქციელი ძირს უთხრის არბიტრაჟისადმი, როგორც დავების გადაწყვეტის ეფექტური სისტემისადმი, ნდობას. საქართველოს რეალობის გათვალისწინებით, არბიტრთა არაკვალიფიციურობა და არაპროფესიონალიზმი ხშირად გამხდარა სააპელაციო სასამართლოს მიერ მათი გადაწყვეტის გაუქმების მიზეზი, ზოგ შემთხვევაში საქმე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობამდეც კი მისულა.⁶⁷

ზემოაღნიშნული პრობლემების აღმოსაფხვრელად აუცილებელია, რომ შემუშავდეს და დაიხვეწოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“ და უფრო მეტად გაკონტროლდეს არბიტრად დანიშვნა. როდესაც მხარეები დავას განსახილველად გადასცემენ არბიტრს და ასევე ნაკლები წარმოდგენა აქვთ არბიტრების არჩევის წესებზე არ უნდა შეიქმნას საშიშროება იმის, რომ მათი საქმე შეიძლება განიხილოს არაკვალიფიციურმა არბიტრმა. სწორედ ამიტომ დავების უმრავლესობას განიხილავავს სასამართლო და ნაკლები ნდობა აქვს გამოცხადებული არბიტრაჟს.

1.2.3 არბიტრების აცილება

გამომდინარე იქიდან, რომ არბიტრაჟი კერძო ავტონომიაზეა აგებული, მხარეები უფლებამოსილნი არიან შეთანხმდნენ არბიტრის აცილების პროცედურაზე.

ზოგადი პრონციპის თანახმად, არბიტრთა აცილების საკითხი შეიძლება გადაწყდეს მხარეთა შორის შეთანხმებული პროცედურის შესაბამისად ან საარბიტრაჟო

⁶⁶ საქართველო, საქართველოს პარლამენტი, საქართველოს კანონი, არბიტრაჟის შესახებ (1280,, 19.04.2009) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საკანონმდებლო მაცნეს ელექტრონული ბაზა: <https://matsne.gov.ge/>

⁶⁷ ნიკოლოზ ფიცხელაური-დისერტაცია თემაზე: ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობასთან, გვ.95

ინსტიტუტის მიერ. თუ მხარეთა მიერ შეთანხმებული პროცედურის გამოყენებისას განცხადება აცილების შესახებ არ დაკმაყოფილდება, მხარეს შეუძლია სასამართლოს მოსთხოვოს ამ საკითხზე გადაწყვეტილების მიღება. საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს აცილების პროცედურის გამოყენებისას სასამართლოს ჩარევის შესაძლებლობას და ამ საკითხის გადაწყვეტას თვით არბიტრაჟს აკისრებს. სამაგიეროდ მხარეს მინიჭებული აქვს უფლება მოსთხოვოს სასამართლოს არბიტრის გადადგომის კანონიერების გარკვევა.⁶⁸

საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“ მე-13 მუხლი ითვალისწინებს მხარეთა შორის აცილების საკითხებს:

ა) მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ არბიტრის აცილების პროცედურაზე;

ბ) მხარეთა შეთანხმების არარსებობისას მხარე, რომელსაც განზრახული აქვს, აცილება გამოუცხადოს არბიტრს, ვალდებული არბიტრის აცილების შესახებ წერილობითი განცხადება წარუდგინოს არბიტრაჟს იმ დღიდან 15 დღის ვადაში, როდესაც მისთვის ცნობილი გახდა შწესაბამისი არბიტრის დანიშვნის ან ამ კანონით გათვალისწინებული რომელიმე გარემოება, რომელიც არბიტრის აცილების საფუძველია. არბიტრის აცილების შესახებ განცხადებაში უნდა მიეთითოს არბიტრის აცილების საფუძველი და მოტივები. თუ არბიტრი, რომლის აცილების საკითხიც განიხილება, არ გამოცხადებს თვითააცილებას ან თუ მეორე მხარე არ დაეთანხმება მის აცილებას არბიტრის აცილების შესახებ განცხადების წარდგენიდან 30 დღის ვადაში, არბიტრის აცილების საკითხს გადაწყვეტს არბიტრაჟი ამ ვადის გასვლიდან 30 დღეში.

გ) თუ არბიტრის აცილების შესახებ მხარის განცხადება არბიტრაჟმა არ დააკმაყოფილა, მხარეს, რომელიც არბიტრის აცილებას აცხადებს, შეუძლია არბიტრის აცილებაზე უარის თქმის შესახებ არბიტრაჟის გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 30 დღის ვადას მიმართოს სასამართლოს არბიტრის აცილების მოთხოვნით.⁶⁹

სასამართლოს აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე გამოაქვს გადაწყვეტილება განცხადების წარმოებაში მიღებიდან 14 დღის ვადაში. ეს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება. ასეთ სემთხვევაში არბიტრს უფლება აქვს, გამოაცხადოს თვითააცილება

⁶⁸ გიორგი ცერცვაძე, საერთაშორისო არბიტრაჟი შედარებითი ანალიზი, თბილისი, 2008, გვ. 344

⁶⁹ საქართველო, საქართველოს პარლამენტი, საქართველოს კანონი, არბიტრაჟის შესახებ (1280, 19.06.2009), საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საკანონმდებლო მაცნეს მონაცემთა ელექტრონული ბაზა; <https://matsne.gov.ge/>

სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე. აცილების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე არბიტრს შეუძლია გააგრძელოს საარბიტრაჟო განხილვა იმ არბიტრის მონაწილეობით, რომლის აცილებასაც ითხოვს მხარე და გამოიტანს საარბიტრაჟო გადაწყვეტილება. აცილების საფუძვლის არსებობისას არბიტრი ვალდებულია განაცხადოს თვითაცილება.

მოდელური კანონი მე-13 მუხლი, ასევე საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“ აცილების საკითხის გადაწყვეტის უფლებამოსილებას ანიჭებს არბიტრთა შემადგენლობას, რომელშიც ის არბიტრიც მონაწილეობს, რომელსაც აცილება გამოუცხადეს. თუ არბიტრებმა აცილების მოთხოვნა არ დააკმაყოფილეს, მაშინ მხარეს შეუძლია ამ გადაწყვეტილებიდან 30 დღის ვადაში მიმართოს სასამართლოს.

მხარეს შეუძლია გააუქმოს არბიტრის დაბიშვნა ან აიცილოს იგი იმ დროისთვის, როდესაც არბიტრაჟი უკვე დაკომპლექტებულია, ან უფრო გვიან, თუ წარმოჩნდება აღნიშნულის მაპროვოცირებელი ახალი ფაქტები. არბიტრის აცილების უპირველესი საფუძველია ინტერესთა კონფლიქტი, ასევე, მიუებელი საქციელი (მაგალითად, იმისათვის, რომ მას არასატანადო ცალკე საუბრები ჰქონდა ერთ-ერთ მხარესთან).

თუ მხარე აპირებს მისცეს აცილება არბიტრს, მან ეს უნდა გააკეთოს მომენტალურად, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩაითვლება, რო იგი უარს ამბობს ამაზე. LCIA-ს წესების შესაბამისად, LCIA-ს არბიტრაჟს და ყველა მხარეს უნდა გაეგზავნოს წერილობითი განაცხადი 15 დღის განმავლობაში იმ მომენტიდან, როცა ცნობილი გახდა აცილების მაპროვოცირებელ გარემოებათა შესახებ. ICC-ის წესების შესაბამისად, აღნიშნული პერიოდ უნდა მოიცავდეს ოცდაათ დღეს. ორივე შემთხვევაში, თუკი არბიტრმა თავად არ გადაწყვიტა გამოეთიშოს პროცესს, ინსტიტუტის ადმინისტრაციული ორგანო თავად მიიღებს გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, მოხდეს თუ არა არბიტრის აცილება.

იმ შემთხვევაში, თუ აცილება არ მოხდა, ბევრი ქვეყნის კანონმდებლობა ითვალისწინებს, რომ მხარემ, რომელმაც წამოიწყო პროცესი აცილების თაობაზე, გადაიტანოს საქმე სასამართლოში./ აპელაცია სასამართლოს გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით მიუღებელია. თუ კონკრეტული იურისდიქცია არ უზრუნველყოფს უარყოფითი არბიტრის აცილების განხილვას, მხარეს მოუწევს დაიცადოს, ვიდრე საბოლოო გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით არ მიეცემა უფლება გაასაჩივროს გადაწყვეტილება სასამართლოში.

არბიტრის აცილების ზოგადი ხასიათის საფუძველი მოცემულია გერმანულ სამოქალაქო საპროცესო კოდექსში, რომლის თანახმადაც აცილების წინაპირობაა

ნებისმიერი გარემოება, რომელიც შეიძლება გახდეს არბიტრის მიუკერძოებლობასა და დამოუკიდებლობაში საფუძვლიანი ეჭვის შეტანის საფუძველი.⁷⁰

არბიტრის აცილების საფუძველი სრულიად განსხვავებული შეიძლება იყოს და დამოკიდებულია კონკრეტული საქმის გარემოებებზე. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ერთი შემთხვევა პრაქტიკიდან: დავა უნდა განეხილა UNCITRAL 1976 რეგლამენტის მიხედვით ფორმირებულ საარბიტრაჟო შემადგენლობას, საარბიტრაჟო განხილვის ადგილი ჰააგაში. დავის მხარეები იყვნენ მალაიზიის ტელეკომი და განის რესპუბლიკა. მალაიზიის ტელეკომმა არბიტრად დანიშნა პროფ. ემანუელ გაილარდი. განამ აცილება მისცა მას შემდეგი საფუძვლით: პროფ. გაილარდი მონაწილეობდა როგორც ადვოკატი ICSID არბიტრაჟის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების გაუქმების პროცესში, რომლის მხარეებიც იყვნენ ინვესტორი და მაროკო. განამ მიუთითა, რომ ამ შემთხვევაში პროფესორი ვერ იქნებოდა მიუკერძოებელი არბიტრი, იმიტომ, რომ ამ ორი საქმის გარემოებები თითქმის იდენტური იყო და პროფესორი ინვესტორმა დაიქირავა სწორედ გადაწყვეტილების გაუქმების მიზნით. შესაბამისად, პარალელურად მიმდინარე პროცესებში პროფესორ ვერ იქნებოდა ობიექტური. ჰააგის სასამართლომ გამოიყენა ე.წ. third party test, რომლის თანახმადაც ირკვევა მესამე ნეიტრალური მხარის თვალში არბიტრი ჩაითვლება მიუკერძოებლად თუ არა. სასამართლომ დაასკვნა, რომ არსებობს არბიტრის მიუკერძოებლობის მიმართ საფუძვლიანი ეჭვი და მოსთხოვა პროფესორს 10 დღის ვადაში უარი ეთქვა ICSID არბიტრის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების გაუქმების პროცესში მონაწილეობაზე. პროფესორი ასეც მოიქცა და უარი ეთქვა მაროკოს წინააღმდეგ პროცესში მხარის წარმომადგენლად გამოსვლაზე. განამ ისევ წამოაყენა მისი აცილების მოთხოვნა, ვინაიდან მაროკოს საქმეზე მიმდინარე საარბიტრაჟო განხილვის დროს პროფესორს უკვე ჰქონდა მონაწილეობა მიღებული რამდენიმე განხილვაში. სასამართლომ უარყო ეს აცილება იმ საფუძვლით, რომ ეს განხილვები და გამოტანილი გადაწყვეტილებები არ შეეხებოდა არსებითად დავის საგანს (ე.ი იყო პროცედურული, საპროცესო ხასიათის და არ წყვეტდა დავას არსებითად).⁷¹

გემოაღნიშნული მაგალითიდან გამომდინარე ჩვენთვის ნათელია, რომ შესაძლებელია მხარის მიერ იყოს მოთხოვნილი აცილება, მაგრამ აუცილებელია მისი საფუძვლიანად დასაბუთება მტკიცებულებების წარდგენის მეშვეობით.

⁷⁰ ნიკოლოზ ფიცხელაური-დისერტაცია თემაზე: ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობასთან, გვ.178-179

⁷¹ გიორგი ცერცვაძე, საერთაშორისო არბიტრაჟი შედარებითი ანალიზი, თბილისი, 2008, გვ. 345

1.2.4 საარბიტრაჟის უზრუნველყოფის ღონისძიებები

საარბიტრაჟო განხილვაში სასამართლოს ჩარევის კიდევ ერთი შემთხვევა უკავშირდება უზრუნველყოფის ზომების მიღებას. ზოგიერთ სიტუაციაში მნიშვნელოვანი მტკიცებულება შეიძლება დაზიანდეს ან განადგურდეს, თუ ის სათანადოდ არ იქნება უზრუნველყოფილი მესამე მხარის მიერ, ან შესაძლოა ერთ მხარეს დასჭირდეს, რომ მეორე მხარემ შეწყვიტოს გარკვეული ქმედებების განხორციელება დაუყოვნებლივ. ასევე შესაძლოა აქტივებს სჭირდებოდეს დაცვა. საარბიტრაჟო ცენტრების წესების მსგავსად, კანონი არბიტრაჟის შესახებ, ანიჭებს უფლებას, გამოიყენოს სხვადასხვა იზრუნველყოფის ღონისძიება, თუ მომთხოვნი მხარე შეძლებს მათი საჭიროების დასაბუთებას.⁷²

საარბიტრაჟო პროცესში საარბიტრაჟო საარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ისევე აქტუალურია, როგორც საერთო სასამართლოთა სისტემაში საქმის განხილვის დროს. საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“ მე-17 მუხლის შინაარსიდან გამომდინარე შუამდგომლობა არბიტრაჟს შეიძლება წარედგინოს საარბიტრაჟო პროცესის ნებისმიერ სტადიაზე, მათ შორის საარბიტრაჟო საარჩელის აღძვრამდეც კი. ასეთი ღონისძიების მიზანია გადაწყვეტილების რეალურად აღსრულებისათვის მოსალოდნელი დაბრკოლების თავიდან აცილება. ასეთი უფლებამოსილება თანაბრად გააჩნიათ როგორც მუდმივმოქმედ საარბიტრაჟო დაწესებულებებს, აგრეთვე ad hoc არბიტრაჟებს.⁷³

მოდელური კანონის 17-ე მუხლი საარბიტრაჟო შემადგენლობას ანიჭებს უფლებას მოსთხოვოს მხარეს უზრუნველყოფის იმ ზომების მიღება, რომლის გამოყენებასაც ის საჭიროდ მიიჩნევს. გარდა ამისა, არბიტრაჟს შეუძლია მოსთხოვოს მხარეს ასეთ ზომებთან დაკავშირებით სათანადო უზრუნველყოფის წარდგენა. არბიტრაჟთან ერთად კანონი უზრუნველყოფის ზომების მიღების უფლებას ანიჭებს სასამართლოს თუ მხარე ამას მოითხოვს. სასამართლოს უფლება აქვს მიიღოს ასეთი ზომები, როგორც საარბიტრაჟო განხილვის დაწყებამდე ასევე დაწყების შემდეგ. საარბიტრაჟო განხილვისას ამ მანამდე მხარის მიერ უზრუნველყოფის ზომების მიღების მოთხოვნით

⁷² ნიკოლოზ ფიცხელაური-დისერტაცია თემაზე: ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობასთან, გვ.194

⁷³ გიორგი თითბერიძე, საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“ კომენტარები, თბილისი, 2017, გვ. 76

სასამართლოსათვის მიმართვა და სასამართლოს მიერ ასეთი ზომების მიღება არ არის შეუთავსებელი საარბიტრაჟო შეთანხმებასთან.⁷⁴

არბიტრაჟი უფლებამოსილია მოსთხოვოს მხარეს, რომელიც შუამდგომლობს საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე, წარმოადგინოს აღნიშნული უზრუნველყოფის ღონისძიებებთან დაკავშირებული შესაბამისი უზრუნველყოფის გარანტია. მას შემდეგ, რაც არბიტრაჟი მიიღებს გადაწყვეტილებას უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე, მხარეს, რომელიც შუამდგომლობს აღნიშნული ღონისძიების გამოყენებაზე, შეუძლია მოითხოვოს ამ ღონისძიებების აღსრულება სასამართლოში. სასამართლოს ეკრძალება საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების არსებითი განხილვა. მხარეს ასევე შეუძლია საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების მოთხოვნით მიმართოს უშუალოდ სასამართლოს.

უნსიტრალის მოდელური კანონის მე-17 მუხლი საარბიტრაჟო შემადგენლობას ანიჭებს უფლებას მოსთხოვოს მხარეს უზრუნველყოფის იმ ზომების მიღება, რომლის გამოყენებასაც ის საჭიროდ მიიჩნევს. საქართველოს სამოქალაქო საფროცესო კოდექსის 191-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, სარჩელის (საარბიტრაჟო სარჩელის) უზრუნველყოფა არის საარბიტრაჟო გადაწყვეტილების რეალურად აღსრულებისათვის მოსალოდნელი დაბრკოლების თავიდან აცილება, რაც დამოკიდებულია ვარაუდზე, რომ შესაძლოა მოჰასუსემ სასარჩელო მოთხოვნებისაგან თავის დაღწევის მიზნით განახორციელოს ისეთი ქმედება, რაც საბოლოოდ შეუძლებელს გახდის ან დააბრკოლებს მოჰასუსხის ინტერესების საწინააღმდეგოდ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებას.

თბილისის სააპელაციო პალატა განმარტავს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტი წარმოადგენს მატერიალური კანონმდებლობით დაცული უფლებებისა და კანონიერი ინტერესების რეალური განხორციელების სწრაფ და ეფექტურ საპროცესო-სამართლებრივ გარანტიას. აღნიშნული ინსტიტუტის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ყფლებათა დაცვის უზრუნველყოფა წინასწარი და დროებითი ხასიათის ღონისძიებაა და ხდება დარღვეული ან სადავო უფლების შესახებ

⁷⁴ გიორგი ცერცვაძე, საერთაშორისო არბიტრაჟი შედარებითი ანალიზი, თბილისი, 2008, გვ. 366

სასამართლოს არსებითი მსჯელობისგან დამოუკიდებლად, სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე.⁷⁵

საარბიტრაჟო განხილვისას უზრუნველყოფის ზომების შინაარსი შემლუღული არ არის მხოლოდ საარბიტრაჟო განხილვის ადგილის საპროცესო სამართლისათვის ცნობილი საშუალებებით. ამ დროს უზრუნველყოფის ზომები მორგებული შეიძლება იყოს საქმის გარემოებებზე, იმის გათვალისწინებით, რომ მას სავალდებულო ძალა აქვს მხოლოდ კონკრეტული საარბიტრაჟო განხილვის მხარეებისთვის და ამ საარბიტრაჟო განხილვის (დავის) საგნისათვის.

უზრუნველყოფის იძულებითი ზომების მიღებისათვის აუცილებელია შემდეგი წინაპირობების არსებობა: 1. არბიტრაჟს უნდა ჰქონდეს უზრუნველყოფის ზომების მიღების უფლებამოსილება (ე.ი უნდა არსებობდეს საარბიტრაჟო შეთანხმება და რ უნდა არსებობდეს მხარეთა სპეციალური შეთანხმება, რომელიც გამორიცხავს არბიტრაჟის მიერ უზრუნველყოფის ზომების მიღებას. 2. რეალური მტკიცებულების არსებობა საფრთხესთან დაკავშირებით, რომელიც აუნაზრაურებელი ზიანის მიყენებით ემუქრება მხარეს და რისი კომპენსირებაც მოგვიანებით მიღებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით შეუძლებელი იქნება. 3. მხარეს, რომელიც ითხოვს უზრუნველყოფის ზომების მიღებას, უნდა ჰქონდეს წარმატების საფუძვლიანი შანსი. 4. თუ არბიტრაჟი მოითხოვს, მხარემ უნდა წარადგინოს სათანადო უზრუნველყოფა.⁷⁶

ევრობის ქვეყნებში საარბიტრაჟო გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით გასატარებელი უზრუნველყოფის ღონისძიებათა საკითხი სხადასხვანაირადაა გადაწყვეტილი. შვეიცარიის, გერმანიის, შვედეთისა და საქატელოს კანონმდებლობა მხარეს აძლევს უფლებას უზრუნველყოფის ზომების მიღება მოითხოვოს როგორც სასამართლოში, ასევე არბიტრაჟში. ბელგიის კანონის თანახმად, არბიტრაჟს შეუძლია ნებისმიერი უზრუნველყოფის ღონისძიების გატარება, გარდა ქონებაზე ყადაღის დადებისა, რაც შეეხება უნსიტრალის მოდელურ კანონს, უზრუნველყოფის ღონისძიების გატარების უფლებამოსილება გააჩნია მხოლოდ არბიტრაჟს.⁷⁷

⁷⁵ ნიკოლოზ ფიცხელაური-დისერტაცია თემაზე: ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობასთან, გვ.195

⁷⁶ გიორგი ცერცვაძე, საერთაშორისო არბიტრაჟი შედარებითი ანალიზი, თბილისი, 2008, გვ. 372

⁷⁷ ნიკოლოზ ფიცხელაური-დისერტაცია თემაზე: ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობასთან, გვ.196

1.2.5 მტკიცებულებების მოპოვება

მტკიცებულებების წარდგენა, მათი გამოკვეთვა და შეფასება საარბიტრაჟო განხილვის უმნიშვნელოვანესი სტადიაა. მტკიცებულებებთან დაკავშირებული პროცედურა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმაზე, რომელ სამართლებრივ სისტემას განეკუთვნებიან საქმის განხილველი არბიტრები და ადვოკატები.

პროცესის ანგლო-ამერიკული სტილი მოსამართლის პასიური და მხარეთა აქტიური როლით ხასიათდება. გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში მოსწრებულად შენიშნავენ, რომ ამერიკაში უნაკლო მოსამართლე ის არის, ვისი ფუნქციაც სასამართლო პროცესის განხილვისას მისაღმება, დახურვისას კი დამშვიდობებაა. ინგლისელ და ამერიკელ მოსამართლეს ადარებენ ფეხბურთის მსაჯს, რომელიც მხოლოდ წესების დარღვევაზე რეაგირებს და ბოლოს გამარჯვებულს აცხადებს. საპირისპირო პრინციპზეა აგებული პროცესი კონტინენტურ ევროპაში. აქ მოსამართლე წყვეტს, რომელი მონმე უნდა იქნეს დაკითხული და ვინ უნდა დაინიშნოს ექსპერტად.⁷⁸

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გერმანიის სამართლის მიხედვით მტკიცებულებებს საარბიტრაჟო პროცესში. სასამართლო შეიძლება დაეხმაროს არბიტრაჟს შემდეგი სახის მტკიცებულებების მოპოვებაში: უცხო ქვეყნიდან მტკიცებულებების გამოთხოვა, იძულებითი ღონისძიებების გამოყენება მონმეების მოსაყვანად, მონმეებისა და მხარეების ფიცის ქვეშ დაკითხვა და ა.შ.

გერმანულმა ორგანიზაციამ, რომელიც აწარმოებდა სამშენებლო მასალას, გაათორმა ხელშეკრულება სლოვენურ ფირმასთან, რომელსაც უნდა მიენოდებინა გერმანული სანარმოსთვის ფანჯრები. ხელშეკრულებაში მხარეებმა გაითვალისწინეს ხელშეკრულების შეწყვეტის წესები იმ შემთხვევისათვის, თუ კომერციული საქმე ცუდად წარიმართებოდა. მხარეები ასევე შეტანხმდნენ სამართლებრივი დავის შემთხვევაში მიემართათ მიუნხენის მრეწველობისა და სავაჭრო პალატისთვის (IHK). გერმანულმა მხარემ სამი წლის შემდეგ გარკვია, რომ ფანჯრები არ იყო კონკურენტუნარიანი და ხელშეკრულება შეწყვიტა. მხარეებმა გაათორმეს საარბიტრაჟო შეთანხმება, თითოეულმა დანიშნა არბიტრი, ხოლო მრეწველობისა და სავაჭრო პალატამ შესაბამის საქმეზე - მომხსენებელი. სასამართლოს ზეპირ სხდომაზე საარბიტრაჟო სასამართლომ გამოაქვეყნა მტკიცებულებების დასაშვებობაზე გადაწყვეტილება, რომელიც ადგენდა

⁷⁸ გიორგი ცერცვაძე, საერთაშორისო არბიტრაჟი შედარებითი ანალიზი, თბილისი, 2008, გვ. 265

მონწმის დაკითხვას. ფრანკფურტის მიდამოებში მცხოვრებმა მონწმემ მზაობა განაცხადა ჩვენების მიცემაზე. შეხვედრამდე ერთი დღით ადრე მონწმემ განაცხადა, რომ იგი არ აპირებდა არბიტრაჟის წინაშე წარდგომას. მონწმისთვის, რომელსაც არავითარი ინეტრესი გააჩნდა პროცესის მიმართ, არბიტრაჟის წინაშე წადგომა დროის დიდი ხარჯვა იყო. მხარეებმა მოსთხოვეს არბიტრაჟს შესაბამისი საპროცესო მოქმედების ჩატარება, რათა მონწმე დაკითხულიყო. მხარეების სახელით და მათი ნების შესაბამისად მთავარმა არბიტრმა გააკეთა განაცხადი მიუნხენის რაიონულ სასამართლოში მონწმის დაკითხვის იძულებასთან დაკავშირებით. მიუნხენის რაიონულმა სასამართლომ არაკომპეტენტურად მიიჩნია თავი ამ გარემოებასთან დაკავშირებით და საქმე გადასცა ბოხუმის მიწის სასამართლოს. გადაწყვეტილება ეფუძნებოდა იმას, რომ სახელმწიფო სასამართლოს კომპეტენცია დავის საგნის გამო არ შეიძლებოდა გადაეხედა. განსჯადი სასამართლო შეიძლება შეირჩეს საცხოცვრებელი ადგილის ან საარბიტრაჟო პროცესის ადგილმდებარეობის მიხედვით. თუ მოცემულია რამდენიმე განსჯადი სასამართლო, მოსამრჩელეს შეუძლია აირჩიოს თუ რომელი სასამართლო განიხილავს საქმეს.⁷⁹

მტკიცებულებების წარმოდგენა შესაძლებელია როგორც წერილობითი ასევე ელექტრონული ფორმით.

ბიზნისის სფეროში წარმოშობილი დავების აბსოლუტური უმრავლესობის განხილვა წერილობითი მტკიცებულებების (დოკუმენტების) გარეშე წარმოუდგენელია. შეიძლება ითქვას, რომ ამ მტკიცებულებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საქმის გარემოებების შესწავლისა და შესაბამისი დასკვნების გამოტანისათვის. ხოლო რაც შეეხება UNCITRAL მოდელური კანონი ელექტრონული კომერციის შესახებ ელექტრონულ დოკუმენტებთან მიმართებაში ემყარება სამ ძირითად პრინციპს: 1. მატერიალური (წერილობითი) ფორმით არსებულ დოკუმენტებსა და ელექტრონულ დოკუმენტებს შორის დოსკრიმინაციის დაუშვებლობა. 2. ტექნიკური ნეიტრალიტეტი. 3. ქალაქისა და ელექტრონული ფორმით არსებული დოკუმენტების ფუნქციური ექვივალენტურობა.

როდესაც საარბიტრაჟო განხილვა მიმდინარეობს ინტერნეტში, ცხადია, ყველა მტკიცებულება ინტერნეტის მეშვეობით უნდა იქნეს წარდგენილი და მიღებული. ელექტრონული საარბიტრაჟო განხილვებისადმი გაზრდილი ინტერესი ადასტურებს,

⁷⁹ ნიკოლოზ ფიცხელაური-დისერტაცია თემაზე: ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობასთან, გვ.203

რომ ასეთი ფორმით არსებული მტკიცებულებების მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზრდება.⁸⁰

საარბიტრაჟო პრაქტიკამ წლების განმავლობაში შეძლო დაეხვეწა მტკიცებულებებთან დაკავშირებული პროცედურები. განვითარების ამ გზაზე მან საკმაოდ ბევრი რამ გადაიღო მტკიცებულებათა სამართლის როგორც კონტინენტური ევროპის, ასევე საერთო სამართლის სისტემიდან.⁸¹

სახელმწიფო სასამართლოს საარბიტრაჟო საქმიანობაში ჩარევის საკითხების რეგულირებას უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ფაქტობრივად, ყველაზე მეტად სწორედ აქ ხდება სახელმწიფოსა და არბიტრაჟის ინტერესთა პირდაპირი გადაკვეთა და ვინაიდან სწორედ სახელმწიფოს ნება თამაშობს უდიდეს როლს არბიტრაჟთა წარმატებით ფუნქციონირებაში, ჩვენი მიხანია, რომ აღნიშნული ინტერესები არ ეწინააღმდეგებოდეს ერთმანეთს, არამედ მოხდეს მათი თანხვედრა. ეს უნდა განხორციელდეს საკანონმდებლო და პრაქტიკულ დონეზე, არა მხოლოდ ქვეყნის შიგნით, არამედ, უპირველეს ყოვლისა, საერთაშორისო ინსტიტუტებთან მიმართებაში, საერთაშორისო ნორმატიულ აქტებთან ჰარმონიზაციის გზით.⁸²

1.2.6 საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულება

საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობა და აღსრულება განსაკუთრებული მნიშვნელობის პროცედურაა, რომელიც დავების გადაწყვეტის საარბიტრაჟო მექანიზმის შემადგენელი ნაწილია. არანაირი აზრი არ ექნებოდა საარბიტრაჟო განხილვას, რომ არ არსებობდეს გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულების გარანტიები. კონკრეტული სამართლებრივი თუ ეკონომიკური შედეგები მხარეებისთვის მხოლოდ აღსრულების შემდეგ შეიძლება დადგეს.

საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებს, როგორც წესი, მხარეები ასრულებენ ნებაყოფლობით, ისე რომ, სასამართლო ხელისუფლების ჩართვის საჭიროება არ დგება. საწინააღმდეგო შემთხვევაში საჭირო ხდება სახელმწიფო სასამართლოს მიერ მისი აღსრულების აუცილებლობა. მართალია, საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას

⁸⁰ გიორგი ცერცვაძე, საერთაშორისო არბიტრაჟი შედარებითი ანალიზი, თბილისი, 2008, გვ. 276

⁸¹ გიორგი ცერცვაძე, საერთაშორისო არბიტრაჟი შედარებითი ანალიზი, თბილისი, 2008, გვ.265

⁸² ნიკოლოზ ფიცხელაური-დისერტაცია თემაზე: ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობასთან, გვ.204

მხარეების მიმართ გააჩნია სასამართლო გადაწყვეტილებასთან გათანაბრებული სამართლებრივი ძალა, თუმცა თავად არ შეუძლია იქონიოს აღსრულების უფლებამოსილება. ეს იმიტომ, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, მართალია უთანაბრდება სასამართლო გადაწყვეტილებას, იგი არ არის სუვერენული სამართლებრივი აქტი. ეს ეხება როგორც შიდა სახელმწიფოებრივ, ისე უცხოურ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებს.

აღსრულების პროცესი სხვა არათყვია, თუ არა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობის პროცესი, რომელიც თავისთავად აღსრულების წინაპირობაა. უცხოური სასამართლო აქტის მეორე ქვეყნის ტერიტორიაზე მოქმედების დაშვება არ არის მიზანშეწონილი მისი საფუძვლიანი გადამოწმების გარეშე. ამ ხარვეზის აღმოსაფხვრელად აღმოცენდა აღიარება ანუ ცნობის ინსტიტუტი. დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა ცნობის კონსეფცია: იგი, როგორც წესი, ხორციელდება ავტომატურად, ანუ საკუთვრივ ცნობის პროცედურის გარეშე იმ მოსამართლის მიერ, რომელიც უფლებამოსილია, დავა განიხილოს. ეს ნიშნავს, რომ უცხოური სასამართლო აქტიდან გამომდინარე, ის საპროცესო შედეგები, რომლებსაც ითვალისწინებს აღსრულებადად გამოცხადების განმახორციელებელი სახელმწიფოს სამართალიც და რომლებიც, შესაბამისად, ცნობას ექვემდებარება, პრაქტიკულად ავტომატურად ვრცელდება ამ ე.წ. „მეორა ქვეყანაზე“.⁸³

საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის მიმზიდველობის გამნაპირობებელ ერთ-ერთ ფაქტორს უცხოეთში გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების სხვა ქვეყანაში ცნობისა და აღსრულების ეფექტიანი მექანიზმების არსებობა განაპირობებს. მართლად, არანაირი აზრი არ ექნებოდა ამის საარბიტრაჟო განხილვას, რომ არ არსებობდეს გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულების გარანტიები.

უცხო სახელმწიფოში გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულების საერთაშორისო-სამართლებრივი მექანიზმები დიდი ხნის მანძილზე ყალიბდებოდა და ეს ძალზედ პრომატევადი და რთული პროცესი იყო. ამის მიზეზი ეროვნულ კანონმდებლობებს, სხვადასხვა სამართლებრივ სისტემებსა და პოლიტიკურ ბლოკებს შორის არსებული განსხვავებები, სახელმწიფოთა სუვერენიტეტის გარკვეულ შეზღუდვასთან დაკავშირებული პრობლემები, ეროვნულ კანონმდებელთა მოუქნელობა, სახელმწიფო მართლმსაჯულების წარმომადგენელთა მხრიდან

⁸³ გიორგი ცერცვაძე, საერთაშორისო არბიტრაჟი შედარებითი ანალიზი, თბილისი, 2008, გვ.141-142

ზოგადად არბიტრაჟის დამკვიდრებისადმი წინააღმდეგონა და სხვა მრავალი გარემოება გახლდათ.

ამ მიმართულებით გადადგმულ პირველ ნაბიჯად „ უცხოეთის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების შესახებ“ უენევის 1927 წლის კონვენცია უნდა მივიჩნიოთ.⁸⁴

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მას არ მოჰყვა თვართო გამოყენება, რადგან სახელმწიფოებს კვლავ დარჩათ თვართო უფლებამოსილება თავად განესაზღვრათ, თუ უცხოეთში გამოტანილი რომელი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებები ექვემდებარებოდა მათ ტერიტორიაზე ცნობასა და აღსრულებას. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ნიუ-იორკის კონვენციის წევრი ქვეყანა გახდა 1994 წელს. 2009 წლამდე ვერ მოხერხდა მისი ტარიფიცირება. აღსანიშნავია, რომ ტერმინი „ცნობა და აღსრულება“, ფაქტობრივად, არბიტრაჟის შესახებ ამჟამად მოქმედმა კანონმა დაამკვირდა.

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებას ეხება „არბიტრაჟის შესახებ“ კანონის 44-ე მუხლი. ამ მუხლის მიხედვით , საქართველოში გამოტანილი გადაწყვეტილებების ცნობასთან და აღსრულებასთან დაკავშირებით უფლებამოსილ სასამართლოდ ითვლება სააპელაციო სასამართლო. ამდენად, იმ შემთხვევაში, თუ მხარე თავისი ნებით არ ასრულებს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას, სასამართლო გადაწყვეტილების მსგავსად, დაინტერესებული პირისთვის უზრუნველყოფილია მის სასარგებლოდ გამოტანილი ასეთი გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულება, რის გამოც დავის ალტერნატიული გადაწყვეტის მოცემული ორგანო კერძო სამართლის სუბიექტების დარღვეული უფლების დაცვის საკმაოდ ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს. როგორც უკვე ავლნიშნეთ, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების თაობაზე გადაწყვეტილება გამოაქვს სააპელაციო სასამართლოს, მის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება საბოლოოა, რაც იმას ნიშნავს, რომ ასეთ განჩინებაზე საკასაციო ან კერძო საჩივარი არ დაიშვება.

2016 წლის 30 მარტის განჩინება საქმეზე 2ბ/3306-15 საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის შესახებ, სადაც 2015 წლის 16 ივლისს შპს „K.-ს“ წარმომადგენელმა, ზ. ს.-მ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას განცხადებით მომართა და მუდმივმოქმედი არბიტრაჟის

⁸⁴ გიორგი წვრილაშვილი, 1999, უცხოეთის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების საერთაშორისო-სამართლებრივი მექანიზმები, სამართალი, გვ.53

შპს „საარბიტრაჟო სასამართლოს“ 2015 წლის 24 აპრილის №22-2015 გადაწყვეტილების ცნობა- აღსრულება მოითხოვა.

მუდმივმოქმედი არბიტრაჟის შპს „საარბიტრაჟო სასამართლოს“ 2015 წლის 24 აპრილის №22-2015 გადაწყვეტილებით შპს „K.-ს“ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოპასუხე ნ. კ.-ს (პ/ნ XXXXXXXXXXXXX) შპს „K.-ს“ სასარგებლოდ გადასახდელად დაეკისრა: სესხის ძირი თანხის - 250 ლარის, პირგასამტეხლოს ა) 2014 წლის 27 დეკემბრიდან 2015 წლის 24 მარტის ჩათვლით - 131 ლარის, ბ) სესხის ძირი თანხის 0.5 % ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 2015 წლის 25 მარტიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე; საარბიტრაჟო მოსაკრებლის - 150 ლარის გადახდა (ს.ფ. 4-8). საქმეში წარმოდგენილია 2015 წლის 24 სექტემბრის აქტი (ს.ფ. 16), რომლის მიხედვითაც, შპს „K.-ს“ წარმომადგენელს, ზ. ს.-ს ეცნობა, რომ სამოქალაქო საქმეზე №2ბ/3306-15, განცხადება.

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების თაობაზე, მიღებულ იქნა წარმოებაში. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 35612-ე, 372-ე, 183-ე და 184-ე მუხლების შესაბამისად, განმცხადებლის წარმომადგენელს განემარტა, რომ ის ვალდებულია განცხადება თანდართულ მასალებთან ერთად მოპასუხეს ჩააბაროს, ხოლო ჩაბარების დამადასტურებელი მტკიცებულება სასამართლოს 2 თვის ვადაში წარმოუდგინოს. განმცხადებლის წარმომადგენელს განემარტა, რომ ვადის დენა მითითებული აქტის გაცნობის მომდევნო დღიდან დაიწყებოდა. ამასთან, განემარტა, რომ იმ შემთხვევაში, თუ მითითებული გზავნილი თანდართულ მასალებთან ერთად მოპასუხეს (მოპასუხეებს) საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78 მუხლებით დადგენილი წესით არ ჩაბარდა და შესაბამისი მტკიცებულება ამავე ვადაში სასამართლოში წარმოდგენილი არ იქნებოდა, სასამართლო განცხადებას, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა - აღსრულების თაობაზე, განუხილველად დატოვებდა. განმცხადებლის წარმომადგენელს, ასევე დამატებით განემარტა, რომ თუ კანონით გათვალისწინებული ყველა ზომის გამოყენების მიუხედავად, გზავნილს მოპასუხეს ვერ ჩააბარებდა, ასეთ შემთხვევაში, უფლებამოსილი იქნებოდა სასამართლოსთვის გზავნილის მოპასუხისათვის (მოპასუხეებისათვის) საჯარო შეტყობინების გზით ჩაბარების მოთხოვნით მოემართა.

სამოქალაქო საქმეთა პალატა გაეცნო საქმის მასალებს და მიაჩნია, რომ შპს „K.-ს“ უარი უნდა ეთქვას მუდმივმოქმედი არბიტრაჟის შპს „საარბიტრაჟო სასამართლოს“ 2015 წლის 24 აპრილის №22-2015 გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებაზე შემდეგ გარემოებათა გამო:

- სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 35612 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, არბიტრაჟთან დაკავშირებულ საქმეებს სასამართლო განიხილავს ამ კოდექსით დადგენილი წესებით. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, არბიტრაჟთან დაკავშირებულ საქმეებს სასამართლო განიხილავს მხოლოდ „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში;
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 35623 მუხლის შესაბამისად, სასამართლო საარბიტრაჟო განწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარს განაცხადებს მხოლოდ „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში;
- სამოქალაქო საქმეთა პალატა განმარტავს, რომ დავის არბიტრაჟის გზით განწყვეტის თაობაზე მხარეთა შეთანხმება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 50-ე მუხლის მიხედვით - გარიგებაა, რომელიც ამომწურავად უნდა განსაზღვრავდეს პირობებს, რათა ზუსტად დადგინდეს გარიგების შინაარსი. შესაბამისად, მხარეები ვალდებული არიან შეთანხმებაში კონკრეტული საარბიტრაჟო დაწესებულება მიუთითონ;
- „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლი განსაზღვრავს საარბიტრაჟო შეთანხმების ცნებას და ფორმას. ამ მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საარბიტრაჟო შეთანხმება არის შეთანხმება, რომლითაც მხარეები თანხმდებიან, განსახილველად გადასცენ არბიტრაჟს ყველა ან ზოგიერთი დავა, რომელიც წარმოიშვა ან შეიძლება წარმოიშვას მათ შორის ამა თუ იმ სახელშეკრულებო ან სხვა სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე;

პალატა აღნიშნავს, რომ აღნიშნული ხელშეკრულება მსესხებლის, ნ. კ.-ს მიერ ხელმოწერილი არ არის. პალატა არ გამოიყენებს, რომ შესაძლოა მსესხებელი მართლაც გაცნობილია ხსენებულ სესხის ხელშეკრულებას, თუმცა, აღნიშნავს, რომ საქმეში წარმოდგენილი არ არის მტკიცებულება, რომლითაც უტყუარად დადასტურდებოდა მსესხებლის მიერ ხელშეკრულების პირობების გაცნობის ფაქტი. უფრო მეტიც, კიდევ რომ წარმოდგენილი იყოს ასეთი მტკიცებულება, იმ პირობებში, როდესაც მოპასუხე ნ. კ. ფიზიკური პირია, მხოლოდ ხელშეკრულების გაცნობა და ელექტრონულად აღნიშნულის დადასტურება „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, საარბიტრაჟო შეთანხმების დადებად ვერ ჩაითვლება. ამდენად, პალატა მიიჩნევს, რომ საქმეში წარმოდგენილი არ არის „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მოთხოვნათა დაცვით შედგენილი შეთანხმება არბიტრაჟზე.

დაადგინა, რომ შპს „K.-ს“ უარი ეთქვას მუდმივმოქმედი არბიტრაჟის შპს „საარბიტრაჟო სასამართლოს“ 2015 წლის 24 აპრილის №22-2015 გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე.⁸⁵

აღნიშნული მაგალითიდან ვხვდებით, რომ იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება სააპელაციო სასამართლოსთვის შესაბამისი მტკიცებულებების წარდგენა შესაძლებელია სააპელაციო სასამართლოს მხრიდან მოხდეს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმა რომელიც არ საჩივრდება არც საკასაციო და არც კერძო საჩივრით.

თუმცა ისმის კითხვები, თუ რა ბედი ეწევა მხარეს რომელსაც საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით სარჩელი დაუკმაყოფილდა ნაწილობრივ? რომელმაც გადაიხადა გარკვეული მომსახურებისთვის თანხა და რომელსაც სურს სწრაფად და მარტივად აღსრულდეს გადაწყვეტილება.

იურიდიულ ლიტერატურაში საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობას განმარტავენ როგორც სასამართლოს დასტურს, რომ ის განიხილება, როგორც აღსრულების სამართლებრივი წინაპირობა. სასამართლო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასთან ერთად ადასტურებს ასეთი გადაწყვეტილების აღსრულების შესაძლებლობასაც. სწორედ ამიტომაც, რომ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით სააპელაციო სასამართლოებს ერთდროულად მიენიჭა არბიტრაჟის გადაწყვეტილების როგორც ცნობის, ისე აღსრულების კონპეტენცია.⁸⁶

მხარეს, რომელსაც დაეიკისრა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულება, უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს შუამდგომლობით გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერების შესახებ. სასამართლოს უფლება აქვს, მხარის შუამდგომლობით, შეაჩეროს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულება არა უმეტეს 30 დღით, თუ წარმოდგენილი იქნება შესაბამისი უზრუნველყოფა. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულება ხორციელდება სასამართლოს განჩინების საფუძველზე, „სააღსრულებო წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე.

ერთ-ერთ საქმეში სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება მართლზომიერია კრედიტის ძირითადი თანხისა და მასზე დარიცხული სარგებლის მოპასუხეებისათვის დაკისრების ნაწილში, რაც შეეხება

⁸⁵ განჩინება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის შესახებ, 2016 წლის 30 მარტი.

⁸⁶ მარიამ. ცისკაძე, საქართველოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების სფეროში სასამართლოს ჩარევის ფარგლები, რომან შენგელიას 70 წლის საიუბილეო კრებული, სამართლის პრობლემები, თბილისი, სამართალი, 2012, გვ.442

ჯარიმის დაკისრებას 3962,70 ლარის ოდენობით, რაც წარმოადგენს სესხის დაფარვის გრაფიკის შესრულების ვადის დარღვევისათვის გათვალისწინებულ ჯარიმას ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სესხის ძირითადი ტანხის 1%-ის ოდენობით, იგი ეწინააღმდეგება ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობებისათვის დადგენილი კანონის ძირითად პრინციპებს შესაბამისად, საჯარო წესრიგს. პაკატის მოსაზრებით, ჯარიმის გონივრულ ოდენობად იქნა მიჩნეული დაკისრებული თანხა 1000 ლარის ოდენობით. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიჩნეულ იქნა რა, რომ საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის 2010 წლის 04 ივნისს საარბიტრაჟო გადაწყვეტილება მოჰასიხეთათვის 2962.70 ლარის იდენობით ჯარიმის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის ნაწილში ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს, შუამდგომლობას აღნიშნული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ დასახელებულ ნაწილში უარი უნდა ეთქვას დაკმაყოფილებაზე, ხოლო დანარჩენ ნაწილში შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს.⁸⁷

უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილება საქართველოს ტერიტორიაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება დაექვემდებაროს იძულებით აღსრულებას, თუ სასამართლო მოახდენს ცნობასა და აღსრულებას. უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისას საქმე გვაქვს მორე ქვეყნის ტერიტორიაზე უცხოური აქტის მოქმედების გაფართოებასთან, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს მის ცნობაზე უარის თქმის საფუძვლები.⁸⁸

1958 წლის 10 ივნისს მიღებული იქნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია „უცხოეთის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების შესახებ“. ნიუ-იორკის კონვენციად წოდებული, იგი მიჩნეულია საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის სფეროში მოქმედ უმნიშვნელოვანეს სამართლებრივ ინსტიტუტად და ძირითად ქვაკუთხედად.⁸⁹

„ეს კონვენცია გამოიყენება იმ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების მიმართ, რომლებიც მიღებულია სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე, და არა იმ სახელმწიფოს ტერიტორიაზე, სადაც მოითხოვება ასეთ გადაწყვეტილებათა

⁸⁷ ნიკოლოზ ფიცხელაური-დისერტაცია თემაზე: ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობასთან, გვ.147

⁸⁸ ნიკოლოზ ფიცხელაური-დისერტაცია თემაზე: ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობასთან, გვ.145

⁸⁹ გიორგი წკრიალაშვილი, 1999, უცხოეთის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების საერთაშორისო-სამართლებრივი მექანიზმები, სამართალი, გვ.55

ცნობა და აღსრულება, და გამოტანილია ისეთ დავათა გამო, რომელთა მხარეები შეიძლება იყვნენ როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირები. იგი გამოიყენება აგრეთვე იმ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა მიმართ, რომლებიც არ ითვლება იმ სახელმწიფოს ადგილობრივ გადაწყვეტილებებად, სადაც მოითხოვება მათი ცნობა და აღსრულება“.⁹⁰

ნიუ-იორკის კონვენციის 1-ლი მუხლის მიხედვით, ჩვენ შეგვიძლია ავლნიშნოთ, რომ იგი თანაბარ მდგომარეობაში აყენებს როგორც კონვენციის მონაწილეს, ისე არამონაწილეს სახელმწიფოში გამოტანილ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებს, და მისი მიდგომა უფრო ახლებურია და თანამედროვე.

ნიუ-იორკის კონვენცია არ უკრძალავს სახელმწიფოებს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების სფეროში სხვა ორმხრივ თუ მრავალმხრივ ხელშეკრულებებში მონაწილეობას. კონვენცია ასევე არ ართმევს დაინტერესებულ მხარეს უფლებას ისარგებლოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასთან დაკავშირებული ყველა იმ უფლებით, რომელსაც მას ანიჭებს იმ სახელმწიფოს კანონმდებლობა, სადაც მოითხოვება გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება.⁹¹

ამრიგად, ნიუ-იორკის კონვენცია ითვლება ყველაზე წარმატებულ საერთაშორისო სამართლებრივ ხელშეკრულებად. იგი წარმოადგენს მნიშვნელოვან რგოლს კერძო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებსა და სახელმწიფო დონეზე მათ აღიარებას, შესრულებას შორის.⁹² მან შექმნა საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების საერთაშორისო აღსრულების ძალზედ ეფექტიანი მექანიზმები და საფუძვლიანი გარანტიები. რაც, თავის მხრივ, ახალ გასაქანს აძლევს საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის ინტენსიური განვითარებისა და სრულყოფის პროცესს, რაც მსოფლიო ბაზრისა და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების გაფართოების საწინდარია.⁹³

⁹⁰ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების შესახებ, მიღებული ნიუ იორკში, 1958 წლის 10 ივნისს, <http://ncll.ge/m/u/ck/files/NYC-Glossary.pdf>

⁹¹ გიორგი ცერცვაძე, საერთაშორისო არბიტრაჟი შედარებითი ანალიზი, თბილისი, 2008, გვ.428

⁹² თ. ზამბახიძე, საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟი (პრობლემები და პერსპექტივები) პროფესორი ზურაბ ახვლედიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი კრებული, თბილისი, მერიდიანი, 2004. გვ. 91

⁹³ გიორგი წკრიალაშვილი, 1999, უცხოეთის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების საერთაშორისო-სამართლებრივი მექანიზმები, სამართალი, გვ.59

1.2.7 საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გასაჩივრება-გაუქმება

საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას აქვს სახელმწიფო სასამართლოს გადაწყვეტილების მოქმედების ძალა. თუ სასამართლო გადაწყვეტილება ატარებს გარანტირებული სამართლებრივი მოქმედების ძალას და მისი შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ ვინრო წინაპირობის გამო, საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაზე დანესებულია რიგი სასამართლო ჩარევები, რომლებიც თავს იჩენს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გასაჩივრებისა და აღსრულების შემთხვევაში.

საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად, გადაწყვეტილების გასაჩივრების ყველაზე გავრცელებული მეთოდია ქმედების ბათილად ცნობა ან გადაწყვეტილების ლიკვიდაცია, არბიტრაჟის ჩატარების ადგილას მდებარე სასამართლოში. იგი წარმოადგენს სათანადო ადგილს გადაწყვეტილების გასაუქმებლად, რადგან ადგილზე მდებარე სასამართლოს გააჩნია საარბიტრაჟი პროცესზე ზედამხედველობის უპირატესი იურისდიქცია იმის უზრუნველყოფის მიზნით.

მხარეებს შეუძლიათ თავისუფლად შეათანხმონ ერთი არბიტრაჟის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვა ანუ მისი გასაჩივრება სხვა არბიტრაჟში. ამის საპირისპიროდ სასამართლოში გასაჩივრების გათვალისწინება მიზანშეწონილად არ ითვლება. ასეთი შეთანხმების არსებობისას მხარის მიერ გასაჩივრების მომენტიდანვე გასაჩივრებული გადაწყვეტილება ავტომატურად გაუქმებულად მიიჩნევა.⁹⁴

უმეტეს არბიტრაჟებში, რომელთა წარმომავლობა ეფუძნება საერთაშორისო კონტრაქტს, გადაწყვეტილებასთან დაკავშირებული ნებისმიერი საჩივარი იგზავნება სასამართლოში. წაგებულ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მიზნით მხოლოდ პროცედურული ან საჯარო სამართლებრივი საკითხების დარღვევის საფუძველზე. თუკი იგი წააგებს ადგილობრივ სასამართლოში, ან არ წამოიწყებს სასამართლო წარმოებას გადაწყვეტილების გაუქმების მიზნით, წაგებულ მხარეს კიდევ რცება შესაძლებლობა აღუდგეს გადაწყვეტილების განხორციელებას. მას შეუძლია ედავოს მეორე მხარეს იმ ქვეყანაში, სადაც განთავსებულია წაგებული მხარის აქტივები და სადაც უნდა მოხდეს აღსრულება. ამრიგად, წაგებულ მხარეს გააჩნია ორი შესაძლებლობა, რათა შეცვალოს გადაწყვეტილება; პირველი, სასამართლოს წარმოების ადგილად და მეორე, სასამართლოში, სადაც მოგებული მხარე ცდილობს აღასრულოს გადაწყვეტილება.

⁹⁴ გიორგი ცერცვაძე, საერთაშორისო არბიტრაჟი შედარებითი ანალიზი, თბილისი, 2008, გვ.406

იმის გამო, რომ არბიტრაჟის გადაწყვეტილება არ არის საბოლოო და სავალდებულო, უმეტეს ქვეყანაში არ არსებობს აპელაციის შესაძლებლობა, მაშინაც კი, თუ არბიტრებმა დაუშვეს შეცდომა სამართლის ან ფაქტების ინტერპრეტაციის შემთხვევაში. უფრო ზუსტად, არსებობს ძალიან მცირე საფუძველი იმისა, რომ მხარემ დაასაბუთოს თავისი საჩივარი გადაწყვეტილების გასაუქმებლად. გაუქმების საფუძველი იყოფა ორ კატეგორიად: მატერიალურ-სამართლებრივი და პროცედურული.

მატერიალურ-სამართლებრივი გასაჩივრების საფუძველი ძირითადად მხარეებს ეძლევათ არბიტრაჟის დასაწყისში, ვიდრე მას შემდეგ, რაც გამოტანილია გადაწყვეტილება. უმეტესობა ქვეყნებში თუკი მხარე არბიტრაჟის დასაწყისში არ განაცხადებს პრეტენზიას, მან შეიძლება დაკარგოს აღნიშნული უფლება.

მატერიალურ-სამართლებრივი გასაჩივრების საფუძველი გადაწყვეტილებასთან მიმართებაში შეიძლება დაეყრდნოს პრეტენზიას, რომ სასამართლომ გადააჭარბა თავის უფლებამოსილებას.

გასაჩივრება არ უნდა იქნება გაგებული კლასიკური მნიშვნელობით. ამ დროს სასამართლოს არ აქვს უფლება იმსჯელოს საარბიტრაჟო განხილვის საგანთან დაკავშირებულ ფაქტობრივ გარემოებებზე, არ შეუძლია შეცვალოს არბიტრაჟის გადაწყვეტილება ან გამოიტანოს ახალი გადაწყვეტილება.⁹⁵

გადაწყვეტილების გასაჩივრება ყველაზე ხშირად ხდება პროცედურულ საფუძველზე. უმეტესი საარბიტრაჟო კანონების შესაბამისად საჭიროა რიგი სტანდარტული პროცედურების დაცვა. უნსიტრალის მოდელური კანონის 34-ე მუხლის შესაბამისად, არსებობს ოთხი საფუძველი, რომელზე დაყრდნობით მხარეს შეუძლია დააფუძნოს თავისი საჩივარი: (1) მხარე არ უნდა იყოს შემლუდული ქმედებაში, ხელშეკრულება უნდა იყოს ძალაში; (2) მხარეს უნდა გადაეცეს შესაბამისი შეტყობინება როგორც არბიტრის დანიშვნის შესახებ, ასევე პროცესის დანიშვნის შესახებ და უნდა შეეძლოს თავისი საქმის წარმოდგენა; (3) საკითხის არსი უნდა იყოს საარბიტრაჟო შეთანხმების ფარგლებში; (4) საარბიტრაჟო სასამართლო უნდა დაკომპლექტდეს მხარეთა შეთანხმების საფუძველზე. ნებისმიერ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მხარეს, რომელიც ასაჩივრებს გადაწყვეტილებას, ეკისრება მტკიცების ტვირთი.⁹⁶

⁹⁵ გიორგი ცერცვაძე, საერთაშორისო არბიტრაჟი შედარებითი ანალიზი, თბილისი, 2008, გვ.407

⁹⁶ ნიკოლოზ ფიცხელაური-დისერტაცია თემაზე: ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობასთან, გვ.127

ზოგადი პრინციპის თანახმად, სასამართლოში გასაჩივრება გულისხმობს შესაბამისი სახელმწიფოს სამერიალური და საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით საარბიტრაჟო გადაწყვეტილების კანონიერებისა და დასაბუთებულობის შემოწმებას. როგორ უნდა შემოწმდეს კანონიერება და დასაბუთებულობა, თუ არბიტრაჟმა გადაწყვეტილება გამოიტანა მხოლოდ სამართლიანობიდან და დავაჭრო ჩვეულებებიდან გამომდინარე? რა შიძლება ამ შემთხვევაში ჩაითვალოს კანონის დარღვევად, როცა კანონი საერთოდ არ გამოყენებულა? ან რა უნდა ჩაითვალოს დაუსაბუთებლად, როცა დასაბუთება საერთოდ არ ემყარება მოცემული ქვეყნის საპროცესო სამართლით დადგენილ მტკიცებულებებსა და მტკიცების პროცედურას? ამიტომაც, რომ მოდელური კანონი ითვალისწინებს არა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გასაჩივრებას სასამართლოში (არბიტრაჟს იმიტომ მიმართავენ, რომ სახელმწიფო სასამართლოს უწყებრივი ქვემდებარობა აიცილონ) არამდე მისი გაუქმების შესაძლებლობას. გაუქმების საკითხის განხილვისას სასამართლო არსებითად არ იხილავს დავას ე.ი არ ამოწმებს მისი კანონიერებისა და დასაბუთებულობის საკითხს.

განსხვავებული მიდგომაა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხვადასხვა ქვეყნებში. მაგალითად შვეიცარიაში არის გამონაკლისი შემთხვევა, როცა კანონი პირდაპირ უბრუნებს, რომ მხარეებს აქვთ უფლება გამოერიცხონ იმ საკანონმდებლო ნორმების მოქმედება, რომლებიც ითვალისწინებენ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნის უფლებას საარბიტრაჟო განხილვის ადგილის კომპეტენტურ სასამართლოში.

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებისადმი ინტერესს სახელმწიფოები ძირითადად მაშინ იჩენენ, როცა გადაწყვეტილება პირდაპირ თუ არაპირდაპირ შეეხება მათი, ან მათი რეზიდენტების უფლებებსა და მოვალეობებს. მაგალითად, არბიტრაჟოს შესახებ შვედეთის კანონის 51 მუხლის 1 აბზაცი ადგენს, რომ მხარეებს, რომლებიც კომერციულ ურთიერთობებში იმყოფებიან, შეუძლიათ წერილობითი შეთანხმებით აშკარად გამოტახული ფორმით გამოერიცხონ, ან შეზღუდონ 34-ე მუხლით გათვალისწინებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლების ჰამოყენება, თუ არც ერთ მხარეს არ აქვს ადგილსამყოფელი, ან საქმიანობის ადგილი შვედეთში.

ასევე, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი შეიძლება იყოს საპროცესო დარღვევები, რომელიც გამოიწვია ონლაინ-განხილვის დროს ტექნიკურმა გაუმართაობამ. მაგალითად ტექნიკური ხარვეზის გამო მხარეს არ მიეცა საშუალება

მოესმინა მეორე მხარის არგუმენტისათვის და წარედგინა საკუთარი პოზიცია, ანუ მონაწილეობა მიეღო საარბიტრაჟო განხილვაში.⁹⁷

1.2.8 საჯარო წესრიგის ბუნდოვანი ცნება და სასამართლოს პრაქტიკა.

საჯარო წესრიგი საერთაშორისო არბიტრაჟის ერთ-ერთი ყველაზე პრობლემური ცნებაა. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს გადაწყვეტილების გაუქმების, ან მის ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველი, რომელიც გულისხმობს საჯარო წესრიგთან გადაწყვეტილების წინააღმდეგობას.⁹⁸

„საჯარო წესრიგის ცნება“ ცნობილია თითქმის ყველა ქვეყნის საერთაშორისო კერძო სამართლისთვის, მაგრამ მისი დეფინიცია არც დოქტრინით და არც კანონმდებლობით განსაზღვრული არ არის. იგი გადაწყვეტილების გასაჩივრების, აგრეთვე მისი ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის ყველაზე ბუნდოვანი საფუძველია. მოდელური კანონი და ნიუ-იორკის კონვენცია შეიცავს საჯარო წესრიგთან წინააღმდეგობის აკრძალვის მითითებას, როგორც სასამართლოს უკანასკნელ შესაძლებლობას უარო თქვას არასასურველი გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე.

საჯარო წესრიგის შესახებ მრავალი თეორია არსებობს და იგი ცალკე კვლევის საგანია. პროფესორი ბ.ზოიძე საჯარო წესრიგის ცნებას შემდეგნაირად განმარტავს: „ მასში იგულისხმება სამოქალაქო ბრუნვის ფუნდამენტური პრინციპები, როგორცაა საკუთრების, ხელშეკრულებისა და მენარმეობის თავისებურებანი და ა.შ. საჯარო წესრიგის დარღვევით ილახება არა მხოლოდ ურთიერთობის კონკრეტული მონაწილის უფლება, არამედ ვნებას აყენებს, პირველ რიგში, სახელმწიფოსა და საზოგადოებრივ ინტერესებს.“⁹⁹

საჯარო წესრიგის დაყოფა ხდება შემდეგნაირად: 1. ეროვნული, 2. საერთაშორისო, 3. ტრანსნაციონალური. ასევე გამოყოფენ მატერიალურსა და საპროცესი-სამართლებრივ საჯარო წესრიგს.

⁹⁷ გიორგი ცერცვაძე, საერთაშორისო არბიტრაჟი შედარებითი ანალიზი, თბილისი, 2008, გვ.408

⁹⁸ გიორგი ცერცვაძე, საერთაშორისო არბიტრაჟი შედარებითი ანალიზი, თბილისი, 2008, გვ.435

⁹⁹ ნიკოლოზ ფიცხელაური-დისერტაცია თემაზე: ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობასთან, გვ.130

ეროვნული ანუ „შიდა“ საჯარო წესრიგი მოიცავს სახელმწიფოს მიერ ეროვნული კანონმდებლობით აღიარებული მორალისა და სამართლის გ=ფუნდამენტურ პრინციპებს.

საერთაშორის საჯარო წესრიგი წარმოადგენს ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული მორალისა და კანონის სავალდებულო ნორმების ერთობლიობას, და გამოიყენება იმ ურთიერთობების მიზნით, რომელშიც წარმოდგენილია საერთაშორისო ელემენტი. ეს შეიძლება იყოს ხელშეკრულების იყოს ხელშეკრულების მხარები სხვადასხვა ქვეყნიდან, ხელშეკრულების მიმართ გამოსაყენებელი უცხო ქვეყნის სამართალი და ა.შ.

ყველაზე ბუნდოვანი და გაურკვეველი საკითხია ტრანსნაციონალური საჯარო წესრიგის განმარტება. მასთან დაკავშირებული მოსაზრებები განსხვავებული და ურთიერთსაწინააღმდეგაა. ტრანსნაციონალური საჯარო წესრიგი არა რის მხოლოდ ერთი სახელმწიფოს იმპერატიული ნორმები, არამედ, მოიცავს ბუნებითი სამართლის ფუნდამენტურ წესებს, უნივერსალური სამართლის ძირითად პრინციპებს საერთაშორისო საჯარო სამართლით გათვალისწინებულ წესებს, ცივილიზებული ერების მიერ ცნობილ ზოგად პრინციპებს-მორალისა და საჯარო წესრიგის შესახებ, მორალის ზოგად პრინციპებს, როგორცაა კორუფცია, ნარკო-ტრეფიკინგის, ტერორიზმის, კონტრაბანდის დაუშვებლობა და ა.შ.

სავაჭრო განვითარებასთან ერთად უფრო და უფრო იზრდება არბიტრაჟის როლი თანამედროვე კომერციულ ურთიერთობებში. უკანასკნელი ტენდენციების მიხედვით, კომერციულ ურთიერთობებთან დაკავშირებულ დავებში შესაძლებელია მოხდეს სასამართლოთა ჩანაცვლება არბიტრაჟების მიერ. აღნიშნული ტენდენცია სავსებით მისაღებია სავაჭრო სუბიექტებისათვის, თუმცა ეს არ ნიშნავს, იმას, რომ ამით ხდება სასამართლოთა როლის მთლიანი გამორიცხავა. ბუნებრივია, ეს არც შეიძლება მოხდეს, ვინაიდან, არბიტრაჟის მიერ მიღებული გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება ხორციელდება სასამართლოს მიერ, რომელიც უფლებამოსილია შეამოწმოს გადაწყვეტილების სისწორე და ნიუ-იორკის კონვენციის მე-5 მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას უარი თქვას გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე.

დიდი ხნის განმავლობაში დავა მიმდინარეობდა იურისტებს შორის იმასთან დაკავშირებით, რომ შეთანხმებული სამართლის გამოყენებლობა წარმოადგენდა თუ არა მატერიალური სამართლის ნორმებს. საჯარო წესრიგის პირობებიდან

გამომდინარე, მხარეთა შორის შეთანხმებული გამოსაყენებელი სამართალი შეიძლება შეიცვალოს სასამართლოს ქვეყნის სავალდებულო ნორმებით. ყველაზე ხშირად სავალდებულო ნორმების გამოყენებით ხდება გარემოს დაცვასთან, კონკურენციის სამართალთან, გაკოტრების სამართალწარმოებასთან დაკავშირებული ურთიერთობების მოწესრიგება, დამკვიდრებული პრაქტიკის მხიედვით დადგინდა, რომ არბიტრების მიერ იმ სამართლის გამოყენებლობა, რომელიც მხარეებმა აირჩიეს, ან დავის გადწყვეტა სამართლიანობის ზოგადი პრინციპების შესაბამისად, როცა მხარეებს არჩეული ჰქონდათ კონკრეტული სამართალი, არ ითვლება მატერიალური საჯარო წესრიგის დარღვევად.

სააპელაციო სასამართლოების პრაქტიკის მიხედვით, სასამართლო თვითონ ადგენს თუ რომელ კონკრეტულ შემთხვევაში ჩაითვლება საჯარო წესრიგი დარღვეულად.

საპროცესო საჯარო წესრიგთან მიმართებით მნიშვნელოვანია თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება. პალატამ განმარტა, რომ საჯარო წესრიგის ზოგადი პრინციპებიდან გამომდინარე, საარბიტრაჟო მოსარჩელის მიერ საარბიტრაჟო მოპასუხის მისამართად თუნდაც რეგისტრირებული იურიდიული მისამართის მითითება, რომელზეც მოპასუხე არ ბარდება არბიტრაჟის მიერ გაგზავნილი კორესპონდენცია, არ ტავისუფლებს საარბიტრაჟო მოსარჩელეს მისთვის ცნობილი მოპასუხის ფაქტობრივი მისამართის ან კომუნიკაციის სხვა საშუალებებით შეტყობინების ვალდებულებისაგან. პალატამ მიიჩნია, რომ მოპასუხედ იურიდიული პირის მითითების შემთხვევაში საარბიტრაჟო მოსარჩელეს უნდა მოეთხოვოს ყველა შესაძლო რეკვიზიტის მითითება. ამასთანავე, იურიდიული პირის შემთხვევაში, გარდა მისი იურიდიული მისამართისა ხელმისაწვდომია ხელმძღვანელობასა და წამომადგენლობაზე უფლებამოსილი პირების ვინაობის დადგენა და მოსარჩელეს აქვს შესაძლებლობა მათი მონაცემებიც მოიძიოს და მიუთითოს არბიტრაჟს. შესაბამისად საჯარო პუბლიკაციის გამოქვეყნებამდე არბიტრაჟმა საარბიტრაჟო მოსარჩელეს მაქსიმალურად უნდა მოსთხოვოს იურიდიული პირისა და მის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირების საკონტაქტო მონაცემების მითითება და მხოლოდ ამის მერე შეუძლია იმსკელოს საჯარო შეტყობინების გამოქვეყნების აუცილებლობაზე. მოცემულ შემთხვევაში კი დგინდება, რომ საარბიტრაჟო მოსარჩელემ მიუთითა მოპასუხის მხოლოდ იურიდიული მისამართი, თუმცა საქმის მასალებიდან დგინდება, რომ სადავო ხელშეკრულებაში მოსაპუხის იურიდიული მისამართის გარდა მითითებულია აგრეთვე დირექტორის მისამართიც, რომელზეც ხელშეკრულების გამომდინარე, ყველა კორესპონდენცია უნდა გაგზავნილიყო. ამდენად, პალატის აზრით, საარბიტრაჟო

მოსარჩელემ იმთავითვე იცოდა, რომ მოპასუხეს იურიდიულ მისამართზე გზავნილი ვერ ჩაბარდებოდა, ასევე იცოდა მოპასუხის ფაქტობრივი ადგილსამყოფელის თაობაზე, თუმცა ამის შესახებ არ აცნობა არბიტრაჟს და შემოიფარგლა მხოლოდ ფორმალურად მოპასუხის იურიდიული მისამართის მითითებით.

პალატამ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში მოპასუხე არ იყო სათანადოდ გაფრთხილებული საარბიტრაჟო სხდომის თაობაზე, რის გამოც არბიტრაჟი არ იყო უფლებამოსილი მიეღო გადაწყვეტილება მხარის დასწრების გარეშე. აღნიშნული კი ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს, რის გამოც განმცხადებელს უარი ეთქვა გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე.¹⁰⁰

აღნიშნული მაგალითიდან გამომდინარე ჩვენთვის ნათელი ხდება „საჯარო წესრიგის“ ბუნდოვანება და იმ შემთხვევაში ხდება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გასაჩივრება, როცა ილახება არა მხოლოდ ურთიერთობის კონკრეტული მონაწილის უფლება არამედ სახელმწიფოსა და საზოგადოებრივ ინტერესებიც.

თავი II. მეთოდოლოგია, კვლევის აღწერა და შედეგები

ჩემ მიერ არჩეული სამაგისტრო ნაშრომი, მოიცავს საარბიტრაჟო წარმოების დროს საერთო სასამართლოს ჩარევის ფარგლებს, რომელიც დღესდღეობით საკმაოდ აქტუალური და მეტნაკლებად პრობლემურიცაა. იმისთვის, რომ მხოლოდ თეორიული ცოდნის საფუძველზე არ შექმნილიყო ჩემი ნაშრომი ჩავატარე კვლევა, რომელიც მოიცავდა როგორც ანკეტურ გამოკითხვას, ასევე ინფორმაციის გამოთხოვას, როგორც სასამართლოდან ასევე მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო დაწესებულებებიდან.

ჩემ მიერ ჩატარებული ანკეტური გამოკითხვა ემსახურებოდა იმ მიზანს, რომ უფრო დეტალურად გამომეკვლია სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფების წარმომადგენლების შეხედულებები დავის მოგვარების ალტერნატიულ საშუალებებზე, კონკრეტულად კი არბიტრაჟსა და სასამართლოს ურთიერთდამოკიდებულებაზე და დამედგინა არბიტრაჟის გამოყენება და ეფექტურობა. აღნიშნული გამოკითხვა ორიენტირებული იყო ისეთ ჯგუფებზე, რომელთაც არ ჰქონდათ შეხება იურიდიულ სფეროსთან და პირიქით, რომელთაც ჰქონდათ იურიდიული განათლება მიღებული. კვლევის პროცესში მნიშვნელობა მივანიჭე სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფების

¹⁰⁰ ნიკოლოზ ფიცხელაური-დისერტაცია თემაზე: ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობასთან, გვ.138

დამოკიდებულებას არბიტრაჟის ეფექტურობისა და ცნობადობის შესახებ, რადგანაც დავის მოგვარების ალტერნატიული გზა სიახლეს წარმოადგენს და დავინტერესდი რამდენად განსხვავებული შეხედულებები ჰქონდათ მათ.

ჩემ მიერ მოქალაქეებისთვის დასმული იყო შემდეგი შეკითხვები :

- უწარმოებიათ თუ არა სამართლებრივი დავა და რა სტატუსი ჰქონიათ ამ პროცესში? (მხარე, წარმომადგენელი და ა.შ.)
- ჰქონდათ თუ არა რაიმე ინფორმაცია დავის მოგვარების ალტერნატიულ საშუალებებზე და რა?
- მიუმართავთ თუ არა არბიტრაჟისთვის და რა მიზეზით? (პროცესის სიიაფე, შემოკლებული ვადები, სანდოობა და ა.შ.)
- ანიჭებდნენ თუ არა უპირატესობას არბიტრაჟს სასამართლოსთან შედარებით?

მიუხედავად იმისა, რომ გამოკითხულთა უმრავლესობისთვის სასამართლოს პროცესების ხანგრძლივობა და ხარჯები დისკომფორტს წარმოადგენს, მაინც მეტი ნდობა აქვთ სასამართლოს მიმართ და თვლიან, რომ კომპეტენტური და გამოცდილი მოსამართლე უფრო სამართლიან და დასაბუთებლ გადაწყვეტილებას გამოიტანს ვიდრე არბიტრი.

თუმცა, უნდა აღვნიშნო, რომ ამ ადამიანების უმრავლესობას ჰქონდათ მწირი ინფორმაცია არბიტრაჟებსა და საარბიტრაჟო წარმოების შესახებ და ამიტომ მიმაჩნია, რომ მათი პასუხები სწორედ ზედაპირული ცოდნით იყო განპირობებული.

ჩემი სასამართლო პრაქტიკიდან გამომდინარე შევეცადე განმესაზღვრა მიახლოებითი ვადა სარჩელის შეტანიდან გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე. ზოგიერთი მარტივი ადმინისტრაციული წარმოება სასამართლოს გადატვირთულობიდან გამომდინარე დაახლოებით ხუთი თვის განმავლობაში გრძელდება. მაგალითად, 2019 წლის 8 იანვარს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში გასაჩივრებული ინდივიდუალურ ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი სასამართლომ წარმოებაში ერთი თვის შემდეგ მიიღო, ხოლო პროცესი ჩატარდა 2019 წლის 25 თებერვალს, დასაბუთებული გადაწყვეტილება გამომეგზავნა იმავე წლის 3 აპრილს, აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2019 წლის 22 მაისს, ხოლო მხარეს ჩაბარდა 27 მაისს. ამ კონკრეტული მაგალითიდან ნათლად ჩანს სასამართლოს გადატვირთულობა რაც დისკომფორტს ქმნის როგორც მოქალაქეებისათვის ასევე თავად მოსამართლეებისათვისაც.

ასევე დავინტერესდი თავად მოსამართლეების მოსაზრებით დავების ალტერნატიული გზით მოგვარებასთან დაკავშირებით. ჩემ მიერ ჩატარებული მცირე ინტერვიუებით დავადგინე, რომ მათი აზრით აუცილებელია სამოქალაქო დავების მოსაგვარებლად არბიტრაჟისა და მედიაციის როლის გაზრდა, რაც ხელს შეუწყობს სასამართლო სისტემის განტვირთვას და მოსამართლეებს მიეცემათ საშუალება უფრო მოკლე დროში და ხარისხიანად განიხილოთ სასამართლო დავები, ასევე აუცილებელია ამ მიმართულებით მოქალაქეების ცნობიერების ამაღლება.

კიდევ ერთი ანკეტური გამოკითხვა მიმართული იყო უშუალოდ მუდმივმოქმედი არბიტრაჟებისადმი. ელექტრონული ფოსტის მეშვეობით მივმართე რამდენიმე საარბიტრაჟო დაწესებულებას და, როგორც ამ სფეროში უფრო კომპეტენტური პირებისგან მოვითხოვე ინფორმაცია მათ პირდაპირ საქმიანობასა და პრაქტიკასთან დაკავშირებით. კითხვები მოიცავდა შემდეგ საკითხებს: რამდენად ხშირად მიმართავდნენ მათ მოქალაქეები, ცნობდა თუ არა სასამართლო მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს, და რამდენად მისაღები იყო იგი მხარეებისთვის.

წერილში გამიზნულად აღვნიშნე, რომ ვატარებდი კვლევას და მათი ნებისმიერი პასუხი, ან ღუმელი ჩემთვის იქნებოდა მსჯელობის საგანი. ამ ორაზროვანი წინადადებით, ერთგვარად დავადგინე მათი პროფესიონალიზმი, რამდენად გააზრებული აქვთ საარბიტრაჟო წარმოების შინაარსი და რამდენად ინარჩუნებენ ნეიტრალლიტეტს პროცესის მიმდინარეობისას.

ჩემმა მცდელობამ შედეგი გამოიღო და ერთ-ერთი ცნობილი მუდმივმოქმედი არბიტრაჟისგან მივიღე პასუხი რომ ისინი დამეხმარებოდნენ იმ შემთხვევაში თუ ჩემს წერილში, „ღუმელის ნაწილში“ არ იქნებოდა მუქარის შემცველი ქვეტექსტი. აღნიშნულმა ფაქტმა ჩემში გაოცება გამოიწვია, რადგან მიუხედავად მიზანმიმართული მცდელობისა მსგავს რეაგირებას არ ველოდი. ვფიქრობ, რომ დაწესებულება, რომელიც გვთავაზობს დავების ალტერნატიული გზით მოგვარების საშუალებებს დიპლომატიურობით უნდა გამოირჩეოდეს.

თუმცა, საბედნიეროდ, რამდენიმე დაწესებულებამ გამოიჩინა კეთილი ნება და მომანოდა საინტერესო ინფორმაცია მათი პრაქტიკიდან გამომდინარე. გამოკითხვამ აჩვენა, რომ შეუძლებელია ცალსახა ინფორმაციის მიღება არბიტრაჟის ეფექტურობის შესახებ, რადგან ყველა შემთხვევა ინდივიდუალურია და ასევე საკმაოდ მცირეა ქეისების რაოდენობა სტატისტიკის შესადგენად. თუმცა გამოირკვა, რომ ზოგჯერ მხარეები გაუაზრებლად ირჩევენ დავის მოსაგვარებლად ალტერნატიულ საშუალებას

და შემდგომ ეს ფაქტი იწვევს გადანწყვეტილების მიმართ უნდობლობას. ასევე არსებობს შემთხვევები, როდესაც სიტუაციიდან გამომდინარე მხარე იძულებულია გაუცნობიერებლად დათანხმდეს საარბიტრაჟო წარმოებას, როდესაც იგი ხელს აწერს მიკროსათინანსო ორგანიზაციების მიერ შეთავაზებულ შაბლონურ ხელშეკრულებას.

ჩემ მიერ ჩატარებული კვლევებიდან, უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს არბიტრაჟისადმი უნდობლობა, რაც განპირობებულია მოსახლეობის არაინფორმირებულობითა და გაუცნობიერებელი ჩართულობით საარბიტრაჟო პროცესში, ასევე არბიტრთა კვალიფიკაციის ნაკლებობა და არათანმიმდევრული სასამართლო პრაქტიკით. მე ვფიქრობ, რომ აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად, აუცილებელია შეიქმნას არბიტრთა მაღალი საკვალიფიკაციო სტანდარტი და დაიხვეწოს საარბიტრაჟო სამართალწარმოება, რაც ხელს შეუწყობს არბიტრაჟისადმი ცნობადობის გაზრდას და სასამართლო სისტემის განტვირთვას.

დასკვნა

ჩემ მიერ შესწავლილი თეორიული მასალისა და პრაქტიკული კვლევების ანალიზის საფუძველზე, მიმაჩნია, რომ დღესდღეობით კერძო დავეების გადასაწყვეტად არბიტრაჟი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მექანიზმია, რადგან სასამართლო სისტემის გადატვირთულობა დავის მოსაგვარებლად ალტერნატიული საშუალებების გამოყენების აუცილებლობას იწვევს. ჩემს ნაშრომში განხილული მაქვს არბიტრაჟის როგორც დადებით ასევე უარყოფი მხარეები. რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა უღერდეს, მიუხედავად, მსოფლიოში ფართოდ გავრცელებული მოსაზრებისა, რომ არბიტრაჟების მეშვეობით საქმის განხილვა საერთაშორისო ბიზნეს ურთიერთობებისთვის უფრო ეფექტურია მსხვილი კომპანიები მათ შორის წარმოშობილი დავების მოგვარებისას უპირატესობას მაინც საერთო სასამართლოებს ანიჭებენ. სამწუხაროდ, ქართულ რეალობაში, ჯერ კიდევ არსებობს ისეთი

გარემოფაქტორები, რომლებიც უნებურად აკნინებენ არბიტრაჟის როლს. ამიტომ მხარეებს, უფრო საიმედოდ და კვალიფიციურად მიაჩნიათ სასამართლოს გადანყვეტილება, მაშინ როცა არბიტრაჟის მეშვეობით დავების მოგვარება შედარებით ნაკლებ დროსა და თანხებს საჭიროებს, უფრო მოქნილია და თანამედროვე ეკონომიკის განვითარების ტემპებს ესადაგება, ამავდროულად, ეს კერძო ინსტიტუტი ნაკლებად ბიუროკრატიულია.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, არბიტრაჟისადმი უნდობლობა გამოწვეულია მოსახელობის ნაკლები ინფორმირებულობით. სახელმწიფო არ ზრუნავს დავების მოგვარების ალტერნატიული გზების პოპულარიზაციაზე და ამ კუთხით საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაზე. როგორც ჩემმა ერთ-ერთმა კვლევამ აჩვენა თვითონ კერძო არბიტრაჟებიც კი, რომელთა საქმიანობა და წარმატება დამოკიდებულია უშუალოდ მომხმარებელთა რაოდენობაზე, სათანადოდ არ ზრუნავენ ხალხის დაინტერესებაზე.

არბიტრაჟი, როგორც საგანი, თეორიულ დინამიკაში წარჩინებით ისწავლება საქართველოს თითქმის ყველა უნივერსიტეტში და სტუდენტთა დიდი ნაწილის აღფრთოვანებასაც იმსახურებს, თუმცა საუხაროდ, არ არსებობს პრაქტიკული გამოცდილების მისაღებად შესაძლებლობათა ფართო სპექტრი. ვფიქრობ, ამ მიმართულებით დიდი წვლილის შეტანა შეუძლიათ მუდმივმოქმედ არბიტრაჟებს, რომლებიც სტუდენტთა სუბსიდირებული ჩართულობით პროცესებში ხელს შეუწყობენ მათი ცოდნის გაღრმავებას, გაზრდიან მათ დაინტერესებას. აღსანიშნავია, რომ კერძო არბიტრაჟებს გააჩნიათ კომერციული ინტერესი ამ სფეროში, შესაბამისად ცნობადობისა და სანდოობის გაზრდა პირდაპირ პროპორციულად აისახება მათი ბიზნესის წარმატებაზე.

ასევე უმნიშვნელოვანესია სახელმწიფოს პოზიცია და როლი არბიტრაჟის ინსტიტუტის განსავითარებლად და დასანერგად. სწორედ სახელმწიფომ უნდა დაანახოს თავის მოქალაქეებს დავის ალტერნატიული გზით მოგვარების სანდოობა და ეფექტურობა, წახალისოს მუდმივმოქმედი არბიტრაჟების საქმიანობა და ეს საკითხი არ დატოვოს სახელმწიფოს პრიორიტეტული ინტერესების მიღმა. მითუმეტეს, იმ პერიოდში, როდესაც ქვეყანა აქტიურად მუშაობს უცხოელ ინვესტორთა მოზიდვაზე. ინვესტიციები და ბიზნესი წარმოუდგეველია კერძო ხასიათის დავების გარეშე, ამიტომ აუცილებელია ამ სფეროში კვალიფიციური იურისტების უზრუნველყოფა და დავების სწრაფად და ეფექტურად მოსაგვარებლად რელევანტური გარემოს შექმნა.

ნაშრომის მომზადების პროცესში, ცალსახად გამოიკვეთა არბიტრაჟის როგორც დავის ალტერნატიული გზით მოგვარების უალტერნატივო საშუალების აუცილებლობა ქართულ რეალობაში. სახელმწიფოს მხრიდან უნდა მოხდეს აქტიური ნაბიჯების გადადგმა, კანონის ბუნდოვანი მუხლების ცვლილება და რაც მთავარია უფრო მეტი დამოუკიდებლობის მინიჭება, არბიტრაჟის პოპულარიზაციისა და მეტი ცნობადობადობისთვის. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ფორმალური პრობლემები და პროცედურები, რომლებიც უსაფუძვლოდ აფერხებს მის გამოყენებას და ნაკლებად ეფექტურს ხდის, მაინც იკვეთება არბიტრაჟის უპირატესობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ არბიტრაჟის განვითარება ხელს შეუწყობს და თავის წვლილს შეიტანს ქვეყნის წინსვლაში. მიზანშეწონილი იქნება, თუ შევა ცვლილებები კანონმდებლობაში და უფრო მეტი ყურადღება გარკვეულ ნიუანსებს. რა თქმა უნდა არბიტრაჟი არ წარმოადგენს ერთადერთ საშუალებას ეკონომიკის განვითარებისთვის, მაგრამ ის ბიზნესის განუყოფელი ნაწილია. საჭიროა დაზუსტდეს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გასაჩივრებისა და გაუქმების საფუძვლები. უფრო მეტად დაიხვეწოს და ჩამოყალიბდეს სასამართლო პრაქტიკა და გაიზარდოს არბიტრთა საკვალიფიკაციო სტანდარტი.

ჩემი ნაშრომის მიზანია, რომ სწორედ ამ ცვლილებების საფუძველზე გაიზარდოს არბიტრაჟისადმი ნდობა და პოპულარობა.

გამოყენებული ლიტერატურა:

მონოგრაფები

1. გოთუა ლ., 2007, კერძო დავების ალტერნატიული წესით განხილვის თავისებურებანი ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით, *მართლმსაჯულება*, (2);
2. ლილუაშვილი თ., 2001, *საერთაშორისო კერძო არბიტრაჟი*, თბილისი, ჯისიაი;
3. ლილუაშვილი თ., 2001, *საერთაშორისო კერძო არბიტრაჟი*, თბილისი, ჯისიაი;

4. ცერცვაძე გ., 2008, *საერთაშორისო საარბიტრაჟო განხილვის წინაპირობები(შედარებითი ანალიზი)*, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტი;
5. ცერცვაძე გ., 2002, *საერთაშორისო არბიტრაჟი*, თბილისი, ბონა კაუზა;
6. ცისკაძე მ., 2012, *საქართველოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების სფეროში სასამართლოს ჩარევის ფარგლები*, რომან შენგელიას 70 წლის საიუბილეო კრებული, სამართლის პრობლემები, თბილისი, სამართალი;
7. წკრიალაშვილი, გ., 1999, *უცხოეთის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების საერთაშორისო-სამართლებრივი მექანიზმები*, *სამართალი*,
8. ნ. ფიცხელაური - დისერტაცია თემაზე: ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობებთან.
9. ზამბახიძე თ., 2004, *საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟი (პრობლემები და პერსპექტივა)*, პროფესორ ზურაბ ახვლედიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი კრებული, თბილისი, მერიდიანი;
10. გოთუა ლ., 2010, *უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებებისა და უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულება*, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი;
11. კნიპერი რ., 1998, *საარბიტრაჟო სასამართლოსა და სახელმწიფო სამართალწარმოების შედარება*, *ქართული სამართლის მიმოხილვა* 1
12. დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ცენტრი - მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში, თბილისი 2013.
13. ანგარიში საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის დაფუძნების შესახებ, 2014;
14. გზამკვლევი არბიტრაჟი, საქალაქო(რაიონული) სასამართლოს მოსამართლეებისთვის, 2017;

15. თბილისის სააპელაციო სასა,ართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 30 მარტის განჩინება საქმეზე 2ბ/3306-15

ვებ.გვერდები

16. საქართველო, საქართველოს პარლამენტი, საქართველოს კანონი, კერძო არბიტრაჟის შესახებ (656, 17.04.1997), საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საკანონმდებლო მაცნეს მონაცემთა ელექტრონული ბაზა;
17. საქართველო, საქართველოს პარლამენტი, საქართველოს კანონი, არბიტრაჟის შესახებ (1280, 19.06.2009), საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საკანონმდებლო მაცნეს მონაცემთა ელექტრონული ბაზა;
18. საქართველო, საქართველოს პარლამენტი, საქართველოს კანონი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი (1106, 14.11.1997), საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საკანონმდებლო მაცნეს მონაცემთა ელექტრონული ბაზა;
19. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების შესახებ, მიღებული ნიუ იორკში, 1958 წლის 10 ივნისს, <http://nccl.ge/m/u/ck/files/NYC-Glossary.pdf>